

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა  
ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა „განათლების მეცნიერებები“

ჟიჟიაშვილი ია

აღსაზრდელის შეფასების პრაქტიკის კვლევა სკოლამდელი  
განათლების საფეხურზე

ნაშრომი შესრულებულია განათლების მეცნიერებების მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: ზაქარია ქიტიაშვილი  
განათლების მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ის ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2019

## ანოტაცია

შეფასების საკითხს სკოლამდელ განათლებაში უდიდესი ადგილი უკავია მისი აღმზრდელობითი ფუნქციიდან გამომდინარე. შეფასება ადრეულ ასაკში დაკავშირებულია დიდ გამოწვევებთან, რადგან ბავშვები ვითარდებიან ოთხი ძირითადი მიმართულებით: ფიზიკურად, კოგნიტიურად, სოციალურად და ემოციურად, მაგრამ არა თანმიმდევრულად. ყველა ბავშვს განვითარების ინდივიდუალური დონე აქვს.

შეფასების საშუალებით ამომწურავ ინფორმაციას იღებს ყველა დაინტერესებული მხარე - აღმზრდელები, მშობლები, განათლების ექსპერტები. ისინი აცნობიერებენ, განვითარების რა ეტაპზე არიან აღსაზრდელები, რამდენად ეფექტურია მათ მიერ შერჩეული სწავლების მეთოდები, როგორ აღწევენ სასწავლო-სააღმზრდელო მიზანს კონკრეტულ აღსაზრდელთან და როგორ უნდა დაგეგმონ მომავალი სასწავლო პროცესი. სკოლამდელ განათლებაში შეფასება სწორედ ზემოაღნიშნული მიზნების მიღწევას ემსახურება. ამდენად, სკოლამდელ განათლებაში აღსაზრდელთა შეფასების პრაქტიკის კვლევა მეტად აქტუალურია.

სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში გავაანალიზეთ აღსაზრდელთა შეფასებაზე არსებული სამართლებრივი რეგულაციები და ეროვნული კვლევები, რამაც ცხადყო, რომ თანამედროვე ქართულ რეალობაში არ იძებნება სკოლამდელ განათლებაში აღსაზრდელთა შეფასების პრაქტიკის კვლევასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რესურსი/კვლევა. შესაბამისად, აღნიშნულ თემატიკაზე ჩატარებული წინამდებარე კვლევა ორიგინალურია და წარმოადგენს **სიახლეს**.

გამომდინარე იქიდან, რომ ნაშრომს აქვს ძიებითი ხასიათი, არ ვაყალიბებთ ამ ეტაპზე **ჰიპოთეზას** და, ვფიქრობთ, რომ აღნიშნული შემდგომი მუშაობის საკითხს წარმოადგენს.

სამაგისტრო ნაშრომის **მიზანია** აღსაზრდელთა შეფასების პრაქტიკის კვლევა სკოლამდელი განათლების საფეხურზე. აღნიშნული მიზნის მისაღწევად დავისახეთ შემდეგი ამოცანები:

- ✓ კვლევის მეთოდოლოგიის განსაზღვრა;
- ✓ კვლევის ინსტრუმენტის შემუშავება;

- ✓ თეორიული და ემპირიული კვლევის ჩატარება;
- ✓ დასკვნებისა და რეკომენდაციის შემუშავება;

ნაშრომის კვლევის **საგანია** სკოლამდელი განათლების საფეხურზე აღსაზრდელის შეფასების პრაქტიკული რეალიზება, ხოლო **ობიექტი** - სკოლამდელი განათლების საფეხურზე აღსაზრდელის შეფასების პრაქტიკული რეალიზების პროცესი.

ნაშრომში გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ, დოკუმენტაციის ანალიზი (სამაგიდე კვლევა) და ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუ. ნაშრომისათვის შეირჩა რესპოდენტთა ორი ჯგუფი, თბილისის საჯარო საბავშვო ბაგა-ბაღის ოცი მასწავლებელი და ამავე, საბავშვო ბაღის ასი მშობელი. აღნიშნული კვლევის შედეგები დეტალურადაა მოცემული წინამდებარე ნაშრომში.

Zhizhiashvili Ia

## Child Assessment Practice Research During Preschool Education

### Annotation

Child assessment is of utmost importance during preschool education because of its educational purposes. Assessment process during early ages is related to a lot of challenges, since children develop in four main directions: physical, cognitive, social and emotional, however, not coherently. Every child has individual level of his/her development.

Exhaustive information is provided through the assessment to every interested party – teachers, parents and experts of education. They analyze on which stage of development a child is, how effective their chosen teaching methods are, how they achieve educational goals with a child and how they should plan the next educational year. The assessment during the preschool education aims to reach the abovementioned goals. Therefore, child assessment practice research during preschool education is **actual**.

Within the scope of this master's thesis, we have analyzed legal framework and national researches regarding child assessment, which made clear that in Georgian modern reality, there is no significant research/source related to child assessment practice research during preschool education. Therefore, this research, conducted on the abovementioned topic, is original and **novelty**.

Taking into consideration that the thesis has research nature, we are not formulating the **hypothesis** at this stage and believe that this is the subject for later work.

The aim of this master's thesis is child assessment practice research during preschool education. In order to reach this goal, we have set the following tasks:

- ✓ Defining the methodology of the research;
- ✓ Creating research instruments;
- ✓ Conducting theoretical and empirical research;
- ✓ Providing conclusions and recommendations.

The **research subject** of the thesis is practical realization of the child assessment during the preschool stage and the **research object** is the process of practical realization of the child assessment during the preschool stage.

In this thesis, we have applied qualitative research method, in particular, document analysis and half structured interviews. Two groups of respondents were chosen for the research, twenty teachers of public kindergardens in Tbilisi and one hundred parents from the same kindergardens. The results of this research are provided in details in the thesis.

# სარჩევი

შესავალი.....	7
თავი პირველი: სკოლამდელ განათლებაში შეფასების გააზრებისათვის .....	10
1.1. სკოლამდელ განათლებაში შეფასების გააზრებისათვის .....	10
თავი მეორე: სკოლამდელ განათლებაში შეფასების ისტორიისათვის საქართველოში.....	16
2.1. სკოლამდელ განათლებაში შეფასების ისტორიისათვის საქართველოში .....	16
თავი მესამე: სამართლებრივი რეგულაციები სკოლამდელ განათლებაში საქართველოში	21
3.1. სამართლებრივი რეგულაციები სკოლამდელ განათლებაში საქართველოში .....	21
თავი მეოთხე: სკოლამდელი განათლების საფეხურზე აღსაზრდელის შეფასება - უცხოეთის გამოცდილება .....	33
4.1. სკოლამდელი განათლების საფეხურზე აღსაზრდელის შეფასების პრაქტიკა რუსეთის ფედერაციულ რესპუბლიკაში.....	33
4.2. სკოლამდელი განათლების საფეხურზე აღსაზრდელის შეფასების პრაქტიკა საფრანგეთში.....	45
4.3. სკოლამდელი განათლების საფეხურზე აღსაზრდელის შეფასების პრაქტიკა ამერიკის შეერთებულ შტატებში .....	50
კვლევითი ნაწილი.....	61
დასკვნები .....	73
რეკომენდაციები .....	76
გამოყენებული ლიტერატურა .....	78
დანართი №1	
დანართი №2	

## შესავალი

განათლების სისტემის ერთ-ერთ მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს სკოლამდელი განათლება. სკოლამდელ განათლებაში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი მიმდინარეობს „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების“ მიხედვით. სკოლამდელ განათლებაში კი თავისი მიზნებიდან და აღმზრდელობითი ფუნქციიდან გამომდინარე შეფასების საკითხს უდიდესი ადგილი უჭირავს. შეფასების მიზანია იმის გარკვევა, თუ რამდენად კარგად ასწავლის აღმზრდელი და რამდენად კარგად სწავლობენ აღსაზრდელები. კერძოდ, შეფასებას აქვს შემდეგი ძირითადი მიზნები: აღსაზრდელის სწავლის ხელშეწყობა; აღსაზრდელის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა; სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში გამოყენებული მეთოდის ეფექტიანობის შემოწმება; სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამების ეფექტიანობის განსაზღვრა და სრულყოფა; მშობლების ჩართვა აღსაზრდელის სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში და მათთან კომუნიკაციის გამყარება<sup>1</sup>.

სკოლამდელ განათლებაში შეფასება = მიიღო ინფორმაცია ბავშვზე (A Guide to Assessment in Early Childhood Infancy to Age Eight).

შეფასების საშუალებით ამომწურავ ინფორმაციას იღებს ყველა დაინტერესებული მხარე - აღმზრდელები და მშობლები აცნობიერებენ, რა ეტაპზე არიან თავიანთი განვითარების გზაზე აღსაზრდელები, რამდენად ეფექტურია მათ მიერ შერჩეული სწავლების მეთოდები, როგორ აღწევენ სასწავლო-სააღმზრდელო მიზანს კონკრეტულ აღსაზრდელთან და როგორ უნდა დაგეგმონ მომავალი სასწავლო პროცესი. სკოლამდელ განათლებაში შეფასება სწორედ ზემოაღნიშნული მიზნების მიღწევას ემსახურება, ამდენად, სკოლამდელ განათლებაში აღსაზრდელთა შეფასების პრაქტიკის კვლევა მეტად აქტუალურია.

სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გავაანალიზეთ აღსაზრდელთა შეფასებასთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგულაციები და ეროვნული კვლევები, რამაც ცხადყო, რომ ჩვენ მიერ ჩატარებული

<sup>1</sup> (<http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0dictiona--00-1---0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL1.1&d=HASH01d01f430d28bf11af559d52.4.8&gt=2>). (01.03.2019)

კვლევის დონეზე სკოლამდელ განათლებაში აღსაზრდელთა შეფასება არავის უკვლევია. აქედან გამომდინარე, აღნიშნულ საკითხზე ჩატარებული წინამდებარე კვლევა ორიგინალურია და წარმოადგენს **სიახლეს**.

გამომდინარე იქიდან, რომ ნაშრომს აქვს ძიებითი ხასიათი არ ვაყალიბებთ ამ ეტაპზე **ჰიპოთეზას** და ვფიქრობთ, რომ აღნიშნული შემდგომი მუშაობის საკითხს წარმოადგენს.

სამაგისტრო ნაშრომის **მიზანია** აღსაზრდელთა შეფასების პრაქტიკის კვლევა სკოლამდელ განათლებაში. აღნიშნული მიზნის მისაღწევად დავისახეთ შემდეგი ამოცანები:

- ✓ კვლევის მეთოდოლოგიის განსაზღვრა;
- ✓ კვლევის ინსტრუმენტის შემუშავება;
- ✓ თეორიული და ემპირიული კვლევის ჩატარება;
- ✓ დასკვნებისა და რეკომენდაციის შემუშავება;

ნაშრომის კვლევის **საგანია** სკოლამდელი განათლების საფეხურზე აღსაზრდელის შეფასების პრაქტიკული რეალიზება, ხოლო **ობიექტი** - სკოლამდელი განათლების საფეხურზე აღსაზრდელის შეფასების პრაქტიკული რეალიზების პროცესი.

სამაგისტრო ნაშრომში გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის **მეთოდი**, კერძოდ, დოკუმენტაციის ანალიზი (სამაგიდე კვლევა) და ჩაღრმავებული ინტერვიუ სკოლამდელი დაწესებულებების აღმზრდელ-პედაგოგებთან და მშობლებთან.

სამაგიდე კვლევის ფარგლებში შევისწავლეთ საკანონმდებლო ბაზა სკოლამდელ დაწესებულებაში შეფასებასთან დაკავშირებით, ასევე, მეთოდური სახელმძღვანელოები და ქართულ სკოლამდე პედაგოგიურ სივრცეში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებული პუბლიკაციები.

ჩაღრმავებული ინტერვიუსთვის რესპონდენტებად მიზნობრივად შეირჩა თბილისის საჯარო სკოლამდელი დაწესებულებების აღმზრდელ პედაგოგები, აღმზრდელები და მშობლები, გათვალისწინებული იყო პირადი ინტერესები.

აღნიშნული კვლევების შედეგები დეტალურადაა მოცემული წინამდებარე ნაშრომში.



საკითხის სიღრმისეულად გაანალიზებისთვის ნაშრომში ასევე, განხილული იქნება რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის, საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების გამოცდილება, სკოლამდელ განათლებაში აღსაზრდელთა შეფასების საკითხზე. აღნიშნული ქვეყნების შერჩევა მოხდა მიზნობრივად, კერძოდ, საკითხის უკეთ შესწავლისათვის ერთი ქვეყანა უნდა ყოფილიყო ყოფილისაბჭოთა კავშირის წევრი და ავირჩიეთ რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკა. ერთი უნდა ყოფილი ევროპის ქვეყანა და შევარჩიეთ საფრანგეთი, რადგან სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მას აქვს ევროპის სხვა ქვეყნებისგან განსხვავებული შეფასების ფორმები სკოლამდელი განათლების საფეხურზე. ხოლო ამერიკის შეერთებული შტატები შევარჩიეთ იმიტომ, რომ მას აქვს გამორჩეული სკოლამდელი განათლების სისტემა.

# თავი პირველი: სკოლამდელ განათლებაში შეფასების გააზრებისათვის

## 1.1. სკოლამდელ განათლებაში შეფასების გააზრებისათვის

სკოლამდელი განათლება საგანმანათლებლო სისტემის საფუძველია, რომელმაც ბავშვი უნდა მოამზადოს განათლების მომდევნო საფეხურებზე სწავლის წარმატებით გასაგრძელებლად<sup>2</sup>. ბავშვის მრავალმხრივი განვითარებისათვის საჭირო გარემოსა და პირობების შექმნა შესაძლებელია ერთობლივად, მშობლების, ოჯახის, სასწავლო დაწესებულებების, სახელმწიფოსა და სრულიად საზოგადოების მხრიდან. როდესაც ბავშვი სათანადოდ არის განვითარებული სასკოლო მზაობის კუთხით, იგი ბევრად უფრო წარმატებულია განათლების შემდეგ ეტაპებზე (სკოლა, უმაღლესი სასწავლებელი და სხვა) და ეს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის ცხოვრებისეულ წინსვლას. სკოლამდელი აღზრდის საგანმანათლებლო სისტემის ფუნქციონირების პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბავშვის შეფასებას<sup>3</sup>.

სკოლამდელი ასაკის ბავშვთა შეფასება განსხვავდება უფროსი ასაკის ბავშვების შეფასებისგან სხვადასხვა კუთხით. უდიდესი განსხვავება არის სწავლების მეთოდებს შორის განსხვავება. სკოლამდელ განათლებაში ბავშვის ცოდნის კონსტრუირება ხდება ექსპერიმენტული, ინტერაქტიური, კონკრეტული და პრაქტიკული გზებით და არა აბსტრაქტული მსჯელობით ან/და წერით (Bredenkamp and Rosegrant, 1992, 1995).

შეფასება ადრეულ ასაკში დაკავშირებულია დიდ გამოწვევებთან, რადგანაც ბავშვი ვითარდება სწრაფად, არათანაბრად, ეპიზოდურად და მასზე დიდი გავლენას ახდენს მის გარშემო მიმდინარე ყველა პროცესი (Shepard, Kagan, and Wurtz, 1998). ბავშვები ვითარდებიან ოთხი ძირითადი მიმართულებით: ფიზიკურად, კოგნიტიურად, სოციალურად და ემოციურად, მაგრამ არათანმიმდევრულად. არც ერთი ბავშვი არ არის ერთნაირი და თითოეულ მათგანს განვითარების ინდივიდუალური დონე აქვს, რასაც განსაზღვრავს კულტურა, ოჯახი, წარმომავლობა და სხვა მრავალი ფაქტორი. აქედან გამომდინარე ნათელია, რომ შეფასების სისტემის ერთი კონკრეტული ფორმა ვერ იქნება მისაღები სხვადასხვა საჭიროებების მქონე ბავშვებისათვის (Shepard, et al.).

<sup>2</sup> [https://lib.bsu.edu/ge/pdf/skolamdeli\\_ganaTlebis\\_programa\\_20052011.pdf](https://lib.bsu.edu/ge/pdf/skolamdeli_ganaTlebis_programa_20052011.pdf) (25.02.2019)

<sup>3</sup> <https://www.mes.gov.ge/content.php?id=4908&lang=geo> (20.02.2019)

სკოლამდელი ასაკის ბავშვთა შეფასება არის ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება ბავშვის აღზრდა-განვითარების შესახებ ინფორმაციის შესაგროვებლად, განათლების მკვლევარების, მშობლებისა და მასწავლებლების მიერ. განათლების ექსპერტები სკოლამდელ განათლებაში ბავშვის შეფასების კომპონენტს სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის შემადგენელ აუცილებელ კომპონენტად განიხილავენ. შეფასება განიხილება, როგორც ბავშვის შემდგომი განვითარების დაგეგმვის წინაპირობა.

შეფასება არის ბავშვთა შესახებ ინფორმაციის შეგროვების პროცესი. შეფასება უზრუნველყოფს მასწავლებლებს, მშობლებს და ოჯახებს მოიპოვონ ინფორმაცია ბავშვთა განვითარებისა და ზრდის შესახებ. სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში ბავშვის შეფასება და მასზე ინფორმაციის შეგროვება რამდენიმე წლის განმავლობაში ექსპერტებს საშუალებას აძლევს განსაზღვრონ ბავშვის აღზრდა-განვითარების დონე. ამ ინფორმაციით კი ისინი გეგმავენ ეფექტურ სასწავლო პროგრამებს ინდივიდუალურად, თითოეული ბავშვისათვის.

შეფასება უზრუნველყოფს ბავშვის საჭიროებების იდენტიფიცირებას; ეხმარება აღმზრდელებს ბავშვისთვის ინდივიდუალური გეგმის შემუშავებაში; პროგრამაში არსებული ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებაში და იმის განსაზღვრას თუ რამდენად კარგად შეესაბამება პროგრამა თითოეული ბავშვის მიზნებსა და საჭიროებებს. იგი არის მასწავლებლისა და ოჯახის წევრების საერთო შანსი, რომ ერთობლივად შეიმუშაონ ბავშვისთვის საჭირო სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამა.

შეფასების მიზანია იმის გარკვევა, თუ რამდენად კარგად ასწავლის აღმზრდელი და რამდენად კარგად სწავლობენ აღსაზრდელები. კერძოდ, შეფასებას აქვს შემდეგი ძირითადი მიზნები: აღსაზრდელის სწავლის ხელშეწყობა; აღსაზრდელის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა; სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში გამოყენებული მეთოდის ეფექტიანობის შემოწმება; სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამების ეფექტიანობის განსაზღვრა და სრულყოფა; მშობლების ჩართვა აღსაზრდელის სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში და მათთან კომუნიკაციის გამყარება.

შეფასების მეთოდები სკოლამდელ განათლებაში შესაძლოა იყოს **არაფორმალური**: ბუნებრივი დაკვირვების წარმოება, ბავშვების შესახებ ინფორმაციის შეგროვება, პორტფოლიოს გაცნობა და **ფორმალური**: შეფასების ინსტრუმენტების გამოყენება,

როგორც კითხვარები და სტანდარტული ტესტები. როგორც ექსპერტები განმარტავენ, ორივე მეთოდი ეფექტურია და ეხმარება მშობლებსა და აღმზრდელებს ბავშვის პროგრესის შესახებ ინფორმაციის მიღებაში.

არაფორმალური შეფასების დროს მნიშვნელოვანია დაკვირვება. დაკვირვება შესაძლოა ჩატარდეს ბავშვების აქტივობებში მინიმალური ჩარევით, ან ჩარევის გარეშე. აღმზრდელები აკვირდებიან ბავშვის ინტელექტუალურ, ლინგვისტურ, სოციალურ-ემოციურ და ფიზიკურ განვითარებას. ბავშვის ქცევასა და უნარებზე დაკვირვება მასწავლებელს აწვდის საჭირო ინფორმაციას ბავშვის შესაძლებლობებზე.

დაკვირვებისას კარგად ჩაწერილი მინიშნებები მნიშვნელოვანია შეფასების სისტემაში. მინიშნებები სასურველია იყოს მოკლე, ფაქტებზე დაყრდნობით გაკეთებული, რომელიც მასწავლებელს მისცემს საჭირო ინფორმაციას ბავშვის განვითარებაზე. მაგალითად, „ჯინა, 4 წლის, მან დღეს აირჩია წიგნი და წარმოიდგინა, რომ მისი არჩეული წიგნი „კურდღელი პიტერი“ წაუკითხა თავის ორ თოჯინას“.

არაფორმალური შეფასებისას ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს აღმზრდელების მიერ პორტფოლიოს წარმოებას თითოეულ აღმზრდელზე. პორტფოლიო წარმოადგენს ინფორმაციის წყაროს, რომელიც შედგება ბავშვების მიერ დროის სხვადასხვა მონაკვეთში შესრულებული ნამუშევრებით. პორტფოლიო ნათლად აჩვენებს ბავშვის განვითარების პროგრესს. პორტფოლიო მშობლებსა და მასწავლებლებს შორის კომუნიკაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა. ამ ტიპის შეფასება ნათლად წარმოაჩენს ბავშვი ძლიერ მხარეებს, ცოდნასა და უნარებს.

არაფორმალური შეფასება არ ეყრდნობა წინასწარ შემუშავებულ დოკუმენტაციას/ტესტებს. შეფასება ხდება უშუალო დაკვირვების შედეგად.

შეფასების ფორმალური მეთოდის დროს დაკვირვებისა და შეფასების პროცესში გამოიყენება ფორმალური, წინასწარ შედგენილი ფორმები/დოკუმენტები. ფორმალური შეფასებები, როგორც წესი, გულისხმობს სტანდარტიზებული ტესტების გამოყენებას. წინასწარ დადგენილ ტესტებს აქვს განსაზღვრული დროის ლიმიტი, ინსტრუქციები და გამოყენების წესები. ბავშვის მიერ მიღებული შეფასებები შედარებულია მისი ასაკისათვის დაწესებულ ქულათა სტანდარტს. ფორმალური ტესტები ჩვეულებრივ იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

- მიღწევების ტესტირება,
- ბავშვის სკოლისთვის მზაობის განმსაზღვრელი ტესტები,
- განვითარების მონიტორინგის ტესტები,
- ზოგადი ინტელექტის განმსაზღვრელი ტესტები,
- დიაგნოსტიკური ტესტები.<sup>4</sup>

ფორმალური შეფასება ტესტებზე დაყრდნობით იძლევა ინფორმაციას ბავშვის შესახებ, რომელიც შემდგომში დასკვნებისა და შეფასებების გაკეთებაში გვეხმარება. ამგვარი ტიპის ტესტები ტარდება დროთა განმავლობაში, სისტემურად, რაც იძლევა სტატისტიკურ ინფორმაციას ბავშვის განვითარების შესახებ, მისი ასაკის შესაბამისად. მონაცემები მუშავდება მათემატიკურად წინასწარ განსაზღვრული მეთოდის შესაბამისად და სწორედ ამით ხდება ქულებისა და პროცენტების მინიჭება. ფორმალური ტესტები ძირითადად შემუშავებულია სახელმწიფოს შესაბამისი სამსახურის მიერ და ატარებს დიაგნოსტიკურ ხასიათს.

შეფასების თითოეული სახე გვაძლევს განსხვავებულ ინფორმაციას ერთი კონკრეტული საკითხის, სკოლამდელი ასაკის ბავშვების სწავლების პროცესისა და მათი განვითარების შესახებ.

კლასიკურ პედაგოგიკაში გამოყოფენ შეფასების ძირითად სახელმძღვანელო პრინციპებს:

- შემოწმება და შეფასება აუცილებლად უნდა გვაძლევდეს ამომწურავ ინფორმაციას თითოეული ბავშვის ცოდნაზე. აქედან გამომდინარე აუცილებელია, რომ შეფასებას იყოს ინდივიდუალური ხასიათის. მასწავლებელმა საფუძვლიანად უნდა შეისწავლოს თითოეული მოსწავლის უნარები და შესაძლებლობები.
- მოსწავლეთა შემოწმებასა და შეფასებას უნდა ჰქონდეს დიფერენცირებული ხასიათი. ცოდნის შეფასება უნდა ხდებოდეს მტკიცედ დადგენილი ნორმებისა და სისტემის მიხედვით.

<sup>4</sup> [https://www.southernearlychildhood.org/upload/pdf/Assessing\\_Development.pdf. \(02.03.2019\)](https://www.southernearlychildhood.org/upload/pdf/Assessing_Development.pdf. (02.03.2019))

- შემოწმება და შეფასება უნდა ხდებოდეს ერთიანი მომთხოვნელობის მკაცრი დაცვით. ეს ნიშნავს, რომ შემოწმება უნდა ხდებოდეს სასწავლო პროგრამის შესაბამისად წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით.
- ცოდნის შემოწმება-შეფასებაში უნდა იყოს დაცული ობიექტურობა. თითოეულმა მასწავლებელმა სრული პასუხისმგებლობით, კეთილსინდისიერად უნდა შეაფასოს მოსწავლე.
- შემოწმება და შეფასება მიზანს აღწევს მაშინ, როცა სისტემატურად ხორციელდება (დ. ლორთქიფანიძე; 1983).
- ეს პრინციპები გასათვალისწინებელია ყოველთვის არ აქვს მნიშვნელობა სად, სწავლების რა ეტაპზე მინდინარეობს შეფასება.
- არაფორმალური თუ ფორმალური შეფასება უნდა წარიმართოს ისე, რომ ის იყოს:
  - ვალიდური - ზუსტად უნდა ზომავდეს იმას, რის შესაფასებლადაც ის არის განსაზღვრული;
  - ნათელი - შეესაბამებოდეს შეფასების ძირითად მიზანს;
  - სამართლიანი - უნდა შესთავაზოს თანაბარი შესაძლებლობები თითოეულ ბავშვს, შედგენილი იყოს ასაკის შესაბამისი კრიტერიუმებითა და რუბრიკებით;
  - თანმიმდევრული - უნდა შეეძლოს გამოკვეთოს ბავშვის ძლიერი და სუსტი მხარეები, შემდგომში გამოსწორებაზე ზრუნვისათვის;
  - ობიექტური - შეფასების შედეგი არ არის დამოკიდებული შემფასებლის პიროვნულ თვისებებზე და დამოკიდებულებებზე;
  - მარტივად ადმინისტრირებადი/ჩასატარებელი;
  - ინტერაქციული - მნიშვნელოვანია როგორც ბავშვების, ასევე დამკვირვებლის ჩართულობა სხვადასხვა აქტივობებში, სხვადასხვა ასპექტით.

შეფასების პროცესში მნიშვნელოვანია მშობელთა ჩართულობა. ოჯახს აქვს გასაღების როლი ბავშვის განვითარების პროცესში, განსაკუთრებით სკოლამდელი ასაკის ბავშვის განვითარებაში (Brown and Bortoli, 2010). მშობლები უნდა აკვირდებოდნენ იმ ქცევასა და უნარებს, რომლებსაც ბავშვები ავლენენ მხოლოდ

სახლში. სახლში შეგროვილ ინფორმაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბავშვის საჭიროებების გამოსავლენად და შემდგომი სასწავლო პროცესის წარსამართად. მშობლები, რომლებიც აკვირდებიან და უსმენენ თავიანთ შვილებს შესაძლოა დაეხმარონ აღმზრდელებს მათი შვილების განვითარებისათვის საჭირო პროგრამის შედგენაში.<sup>5</sup>

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ შეფასებას უდიდესი საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი ფუნქცია აქვს და მისი სრულფასოვნად განხორციელება სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

---

<sup>5</sup> [http://images.pearsonassessments.com/images/tmrs/tmrs\\_rg/AssessingYoungChildren.pdf](http://images.pearsonassessments.com/images/tmrs/tmrs_rg/AssessingYoungChildren.pdf) (15.04.2019)

## თავი მეორე: სკოლამდელ განათლებაში შეფასების ისტორიისათვის საქართველოში

### 2.1. სკოლამდელ განათლებაში შეფასების ისტორიისათვის საქართველოში

საქართველოში აღზრდა-განათლების ჩამოყალიბებას მრავალსაუკუნოვანი ისტორია გააჩნია, შეიძლება ითქვას, რომ ის ჯერ კიდევ თემური საზოგადოების დაშლის შემდეგ გამოიკვეთა, მაშინ, როდესაც გაჩნდა ოჯახის ფუნქციონირება და კერძო საკუთრება. ვერც ამ პერიოდში და ვერც მოგვიანებით წერილობითი წყაროებით, რომლებიც პედაგოგიკის ისტორიაში მოგვეპოვება ვერ ვხვდებით ინფორმაციას სკოლამდელი განათლების შესახებ, თუმცა არ შეიძლება იმის თქმა, რომ ის არ არსებობდა.

სკოლამდელი განათლება საქართველოში სხვადასხვა სახით და ფორმით გვხვდება საქართველოს საბჭოთა კავშირის სივრცეში შესვლამდე. სკოლამდელი განათლების საკითხი განსაკუთრებით გამოიკვეთა XX საუკუნის დასაწყისში, საქართველო ამ პერიოდში ერთიანდება საბჭოთა კავშირის სივრცეში, ისევე როგორც მართველობის ყველა სფეროში განათლების კუთხითაც, საქართველო იგივე პოლიტიკის განმახორციელებელი გახდა, რასაც ერთიანი საბჭოთა პოლიტიკა ერქვა. რუსეთში პირველი საბავშვო ბაღების გახსნის შემდეგ, უახლოეს პერიოდში საბავშვო ბაღები საქართველოშიც გაიხსნა (გ. ჭანიშვილი, 1987). სკოლამდელი განათლება ცენტრალიზებული სისტემით იმართებოდა, იგი სავალდებულო არ იყო, თუმცა საყოველთაობის პრინციპს ატარებდა და გულისხმობდა 2-6 წლამდე ბავშვების მომზადებას.

სკოლამდელი განათლების მიზანი იყო არის და იქნება ბავშვის მრავალმხრივი განვითარების უზრუნველყოფა. სკოლამდელ განათლებაში ბავშვის განვითარების (აღზრდა-განათლების) სფეროებია:

ა) ფიზიკური და სენსორული განვითარება (აღზრდა-განათლება) – ბავშვის ხელშეწყობა, განვითაროს ნატიფი მოტორიკა, უხეში მოტორიკა და სენსორული უნარები;

ბ) სოციალურ-ემოციური განვითარება (აღზრდა-განათლება) – ბავშვის ხელშეწყობა, განვითაროს ის უნარები, რომელიც სჭირდება პოზიტიური



ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად როგორც გარშემომყოფებთან, ისე საკუთარ თავთან, იმისათვის, რომ შეიცნოს საკუთარი თავი, ისწავლოს საკუთარი ემოციების, იმპულსებისა და ქცევის მართვა, ისწავლოს თანამშრომლობა და სხვა;

გ) კომუნიკაციური უნარების, ენისა და მეტყველების განვითარება – ბავშვის ხელშეწყობა, განვითაროს კომუნიკაციური უნარები, როგორც სწავლისა და სოციუმში არსებობის განუყოფელი მოვლენა;

დ) შემეცნებითი განვითარება – ბავშვის ხელშეწყობა, განვითაროს სააზროვნო უნარები ცნობისმოყვარეობისა და შემოქმედებითობის გამოყენებით;

ე) დამოუკიდებლობა და ადაპტური ქცევის განვითარება – ბავშვის ხელშეწყობა, განვითაროს დამოუკიდებლობა და ადაპტური ქცევა იმისთვის, რათა ისწავლოს თანამედროვე და ცვალებად სამყაროში გამოწვევებთან გამკლავება.

ბავშვის განვითარების სფეროები ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული და არცერთი მათგანი არ ვითარდება ცალმხრივად, ერთის განვითარება ხელს უწყობს დანარჩენი სფეროების განვითარებას.

იმისთვის, რომ თითოეული ბავშვისთვის სწორად იქნას შერჩეული სასწავლო-სააღმზრდელო აქტივობები საჭიროა შეიქმნას თითოეული ბავშვის ინდივიდუალური შეფასება, რომელიც მოიცავს ბავშვის ნამუშევრებს, დაკვირვების/შეფასების შედეგად მიღებულ მრავალფეროვან ინფორმაციას, ბავშვების სურათებს სხვადასხვა საქმიანობის შესრულებისას და სხვა.

საბჭოთა კავშირის პერიოდში სკოლამდელ განათლებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობოდა პედაგოგიური მუშაობის აღრიცხვას, ანუ შეფასებას. აღმზრდელი თავისი მუშაობის ანგარიშს აწარმოებდა კალენდარული გეგმის (კალენდარული გეგმა დგებოდა 6-12 დღით, მასში გამოკვეთილი იყო აღზრდის პროგრამის საერთო მოთხოვნების კონკრეტიზაცია და ის ამოცანები, რომლებიც განსაზღვრული იყო სკოლამდელი დაწესებულების წლიურ გეგმაში) განხორციელების მიხედვით, იძლეოდა ჩატარებული მუშაობის ანალიზსა და შეფასებას, ადარებდა განხორციელებულს ჩანაფიქრთან, განსაზღვრავდა ბავშვის წარუმატებლობის ან წარმატების მიზეზებს, ბავშვის მიერ საპროგრამო მასალის შეთვისების ხარისხს. მაგალითად: „დავალემა - 1 ერთეულიდან 5-მდე რიცხობრივი შემადგენლობის განსაზღვრა მიშას და ტატიანას გარდა შეასრულა

ყველა ბავშვმა“ [სკოლამდელი პედაგოგია, 1987]. ასევე აღნიშნავენ, რომ მიზანშეწონილი იყო აღრიცხულიყო თითოეული ბავშვის განვითარება, მათი ქცევების თავისებურებები, რასაც ისინი იჩენდნენ მეცადინეობაზე, თამაშსა და ყოველდღიურ საქმიანობაში. მაგალითად: „მიშამ, პირველად საკუთარი ინიციატივით, თავის თავზე აიღო დაეხმაროს ახალ გოგონას, რომ იგი სწრაფად მომზადებულიყო გასასეირნებლად, მზრუნველობას უწევდა მას გასეირნების დროსაც, მაგრამ აგრესიულად წინ აღუდგა სხვა ბავშვების ცდას, რომ გოგონასთან ეთამაშათ“ [სკოლამდელი პედაგოგია, 1987].

ბავშვის შრომის შეფასება უნდა ყოფილიყო მაქსიმალურად ობიექტური, აღმზრდელი აწარმოებდა სისტემურ ჩანაწერებს, ვინაიდან ამა თუ იმ ცოდნის უნარის, ჩვევების და პიროვნების თვისებების მხოლოდ ჭეშმარიტი ცოდნა იძლევა საფუძველს, რომ განისაზღვროს შემდეგი პედაგოგიური ზემოქმედების საშუალებები. ამისთვის აღმზრდელი ეყრდნობოდა არა მხოლოდ პირად შთაბეჭდილებებს, არამედ იყენებდა ბავშვის საქმიანობის პროდუქციის ანალიზს (მათი ჩანახატები, ნაკეთობები, ბავშვის თამაშის შესახებ ჩანაწერები და სხვა).

საბჭოთა კავშირის სკოლამდელ განათლებაში ბავშვთან მუშაობის დაგეგმვასა და მის შეფასებაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ბავშვის ფიზიკური და ნერვულ-ფსიქიკური განვითარების ნორმატივებს. აქედან გამომდინარე, მეცადინეობის ჩატარების აღრიცხვასთან ერთად თითოეულ ბავშვზე იწარმოებოდა დღიური. იქ აღინიშნებოდა ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობა ყოველდღიურად: ტემპერატურა, ხახის ლორწოვანის, კანის მდგომარეობა და ა. შ. (სკოლამდელი პედაგოგია, 1987).

ბავშვთა შეფასებას ახორციელებდა აღმზრდელი, სკოლამდელი დაწესებულების ხელმძღვანელი, ექიმი და ასევე, დამატებით საბავშვო ბაღის ის პერსონალი, ვისაც ურთიერთობა ჰქონდა ბავშვთან.

საბავშვო ბაღის წლიურ ანგარიშში გამოყოფილი იყო ცალკე განყოფილება ბავშვებთან აღმზრდელობით-საგანმანათლებლო მუშაობის მდგომარეობისა და შედეგების შესახებ. აღნიშნული ანგარიშის დასკვნები კი ხდებოდა საფუძველი ახალი სასწავლო წლის დასაგეგმად.

შეფასების ობიექტურობისა და დასახული მიზნების მისაღწევად საბჭოთა სკოლამდელ განათლებაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა ოჯახს. ოჯახი

აღიქმებოდა პირველ ცხოვრებისეულ სკოლად, ხოლო მშობლები მის პირველ მასწავლებლებად და აღმზრდელებად. აუცილებელი იყო, რომ მშობლები ინფორმირებულნი ყოფილიყვნენ საბავშვო ბაღის მუშაობის შინაარსის შესახებ, რათა მშობლებს სახლში განემტკიცებინათ ის, რასაც ბავშვი სწავლობდა ბაღში. აქედან გამომდინარე, აღმზრდელები დიდ მუშაობას ატარებდნენ ოჯახებთან და ცდილობდნენ მიეღწიათ საზოგადოებრივი და ოჯახური აღზრდის ერთიანობისათვის.

იქიდან გამომდინარე, რომ საბჭოთა სკოლამდელი განათლების პოლიტიკა დიდ ყურადღებას აქცევდა მშობლის ჩართულობას აღზრდაში, მიიჩნევდნენ, რომ მშობელი შეიარაღებული უნდა ყოფილიყო საჭირო ცოდნითა და უნარებით, რათა ხელი შეეწყოს ბავშვის განვითარებისათვის. აქედან გამომდინარე, აღმზრდელებს განსაზღვრული ჰქონდათ სანიმუშო თემატიკა რაზეც ესაუბრებოდნენ მშობლებს. მაგალითად: „აღზრდის ამოცანები და უმცროსი სკოლამდელი ასაკის ბავშვთა თავისებურებანი, ბავშვის პირველი დღეები ბაღში, რა წავუკითხოთ და მოვუთხოთ ბავშვებს, რა სათამაშოები და წიგნები უნდა შევუძინოთ ბავშვს და ა.შ.“ [სახელმძღვანელო საბავშვო ბაღის აღმზრდელთათვის; 1956]. სასაუბრო თემები განსხვავდებოდა ბავშვის ასაკობრივი ჯგუფის და მშობლებთან მუშაობის ფორმის მიხედვით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აღმზრდელები და სკოლამდელი დაწესებულების სხვა თანამშრომლები რეგულარულად ესაუბრებოდნენ მშობლებს სკოლამდელი დაწესებულების ცხოვრების, მუშაობისა და ბავშვების საჭიროებების შესახებ. გამოყოფენ მშობლებთან მუშაობის სხვადასხვა ფორმებს:

1. ინდივიდუალური მუშაობა მშობლებთან - მშობლებთან ან ოჯახის სხვა წევრებთან საუბარი ტარდებოდა დილას ან საღამოს, როდესაც ბავშვები მოჰყავდათ საბავშვო ბაღში ან მიჰყავდათ სახლში. ასევე, აღმზრდელს შეეძლო სპეციალურად მოეწვია ოჯახის სხვა წევრებიც მათთან სასაუბროდ.

2. მუშაობა მშობელთა კოლექტივთან - მშობლებთან მუშაობის ამ ფორმას მიეკუთვნება: მშობელთა კრებები, ჯგუფური კონსულტაციები, კონფერენციები, საღამოები მშობელთათვის. ამ დროს იწვევდნენ ყველა ბავშვის დედასა და მამას, რომელთა შვილებიც იზრდებოდნენ სკოლამდელ დაწესებულებაში. მშობელთა საერთო კრება იმართებოდა წელიწადში 2-3 ჯერ, ჯგუფური კრებები - კვარტალში ერთხელ.

3. მშობელთა მისვლა საბავშვო ბაღში - ბავშვებთან წარმოებული სააღმზრდელო მუშაობის გაცნობის ერთ-ერთ ძირითად საშუალებად თვლიდნენ მშობლების სტუმრობას საბავშვო ბაღში. მშობლები საბავშვო ბაღში მისვლით ეცნობოდნენ აღმზრდელობითი მუშაობის შინაარსს და ბავშვისადმი წაყენებულ მოთხოვნებს, რომლებიც ოჯახში უნდა სრულდებოდა. მშობლებს შეეძლოთ დაკვირვებოდნენ აღმზრდელობით მუშაობას მთელი დღის განმავლობაში ან სურვილისამებრ ზოგიერთ მეცადინეობას. მეცადინეობაზე დასწრების შემდეგ ბაღის ხელმძღვანელი ვალდებული იყო გასაუბრებოდა მშობელს, რადგან დარწმუნებულიყო, რომ მშობელმა სწორად გაიგო ის, რასაც აკვირდებოდა. აძლევდა რჩევებს, თუ რა და როგორ უნდა გადაეტანა ოჯახურ პირობებში (სახელმძღვანელო საბავშვო ბაღის აღმზრდელთათვის, 1949).

მშობელთან მუშაობის გზის არჩევაში აღმზრდელი თავისუფალი იყო. მთავარი იყო ის, რომ არ დაემვა მუშაობაში შაბლონი და ფორმალიზმი, ანგარიში უნდა გაეწია თითოეული ბავშვის თავისებურებებისათვის. ეს ყოველივე ეხმარებოდა აღმზრდელს უკეთ შეეფასებინა ბავშვი და მისი განვითარებისათვის საჭირო ქმედებებით დაეგეგმა სააღმზრდელო პროცესი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან შეგვიძლია ვთქვათ, მიუხედავად იმისა, რომ რამე კონკრეტული ერთიანი შეფასების ფორმა და სტანდარტი საბჭოთა პერიოდში არ არსებობდა, მაგრამ სკოლამდელი განათლების ჩასახვიდანვე დიდი ყურადღება ექცეოდა აღმზრდელთა შეფასებას. შეფასება მიმდინარეობდა ძირითადად შეფასების არაფორმალური მეთოდის, დაკვირვების მეშვეობით და დაკვირვების შედეგად გაკეთებული ჩანაწერებით, რომელსაც აკეთებდნენ აღმზრდელები, საბავშვო ბაღის ხელმძღვანელები და ექიმები მშობელთა დახმარებით.

## თავი მესამე: სამართლებრივი რეგულაციები სკოლამდელ განათლებაში საქართველოში

### 3.1. სამართლებრივი რეგულაციები სკოლამდელ განათლებაში საქართველოში

სკოლამდელი განათლების დეცენტრალიზაციის (2006 წლიდან) შემდგომ სკოლამდელი განათლების სისტემა საქართველოში აღარ ექვემდებარება საქართველოს განათლებისა, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს. მისი მართვის მთავარ ორგანოს თვითმართველობები წარმოადგენენ.

სკოლამდელ განათლებას რამდენიმე კანონი არეგულირებს, უპირველეს ყოვლისა უნდა დავასახელოთ საქართველოს კონსტიტუცია, რომელიც ეხება განათლების ყველა სფეროს. კონსტიტუცია შექმნილია 1995 წლის 24 აგვისტოს. მისი 27-ე მუხლის მე-2 ქვეპუნქტი შეეხება სკოლამდელი განათლების საკითხებს, მისი მიხედვით, სკოლამდელ აღზრდას სახელმწიფო უზრუნველყოფს დადგენილი წესით:

*"2. სკოლამდელი აღზრდა უზრუნველყოფილია კანონით დადგენილი წესით. დაწყებითი და საბაზო განათლება სავალდებულოა. ზოგად განათლებას კანონით დადგენილი წესით სრულად აფინანსებს სახელმწიფო. მოქალაქეებს უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესით სახელმწიფოს დაფინანსებით მიიღონ პროფესიული და უმაღლესი განათლება“.*

იქიდან გამომდინარე, რომ სკოლამდელი განათლების სისტემა თვითმართველობის დაქვემდებარების ქვეშაა უნდა განვიხილოთ თვითმართველობის კოდექსი. თვითმართველობის კოდექსის მე-16 მუხლი არეგულირებს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას, სწორედ ამ მუხლში არის გაწერილი სკოლამდელი დაწესებულების დაარსებისა და მოქმედების სივრცე.

მე-16 მუხლის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებაში შედის:

*„ი) მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“*

*“ი<sup>1</sup>) მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა;”*

*“ო<sup>2</sup>) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის უზრუნველყოფა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;“*

თვითმართველობის კოდექსის 93-ე მუხლის მე-4 პუნქტში მითითებულია, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე, მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებები არის უფასო:

*„4. აკრძალულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე, მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის“.*

თვითმართველობის კოდექსიდან ჩანს, რომ ის არ არეგულირებს თავად სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირებას, ამისათვის საკანონმდებლო სივრცეში გვაქვს კიდევ ერთი კანონი, რომელიც უშუალოდ ეხება სკოლამდელი განათლების საკითხებსა და მათ ფუნქციონირებას. ეს არის „საქართველოს კანონი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ.“ იგი შემუშავებულია 2016 წლის 8 ივნისს.

აღნიშნული კანონი აწესრიგებს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხელმისაწვდომობასა და საყოველთაობის პრინციპებს, სკოლამდელი განათლების დაწესებულებების სტრუქტურას, მათ დაფუძნებასა და გაუქმებას. ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოს მთავრობის, საქართველოს განათლებისა, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, მუნიციპალიტეტის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის უფლებამოსილებებს, ვალდებულებებს და როლს სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირებაში, ავტორიზაციის საკითხებსა და მის დაფინანსებას.

2017 წლის 27 ოქტომბერს დამტკიცდა „აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი“. აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტის მიზანია „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში მიმდინარე საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება.“

სამაგისტრო თემის შინაარსიდან გამომდინარე ჩვენ გვაინტერესებს „აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტის“ მე-2 მუხლი (ტერმინთა განმარტება) და მე-12 მუხლი (დაკვირვება და შეფასება).

„აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტის“ მე-2 მუხლში წარმოდგენილია ტერმინთა განმარტება. გამომდინარე იქიდან, რომ სამაგისტრო თემის ობიექტს წარმოადგენს შეფასება სკოლამდელ განათლებაში საჭიროა მოვახდინოთ მისი განმარტება.

„ი) შეფასება – ბავშვის ქცევის, უნარების, ცოდნის ან პიროვნულ მახასიათებლებზე დაკვირვების შედეგად მრავალმხრივი ინფორმაციის შეგროვების პროცესი, რომლის საფუძველზეც ხდება ბავშვის აღზრდის, განათლებისა და განვითარებისათვის შესაბამისი დასკვნების გამოტანა და მომავალი გეგმების დასახვა;“

„კ) შეფასების არაფორმალური მეთოდი – მეთოდი, რომლის გამოყენებისას დაკვირვებისა და შეფასების პროცესი წარმართება არაფორმალური გზით (მაგ.: აღმზრდელ-პედაგოგი აფასებს ბავშვის განვითარებას მისი ნამუშევრების მეშვეობით; აკვირდება თითოეულ ბავშვს და აწარმოებს შესაბამის ჩანაწერებს; აწარმოებს რეიტინგულ სკალებს და ა. შ.);“

„ლ) შეფასების ფორმალური მეთოდი – მეთოდი, რომლის დროსაც დაკვირვებისა და შეფასების პროცესში გამოიყენება ფორმალური, წინასწარშედგენილი ფორმები/დოკუმენტები;“

„აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტის“ მე-12 მუხლი განსაზღვრავს აღმზრდელ-პედაგოგის მიერ დაკვირვებისა და შეფასების წარმოებას:

”1. აღმზრდელ-პედაგოგმა იცის შეფასების მეთოდები და ფორმები.“

„2. აღმზრდელ-პედაგოგი თითოეული ბავშვის პროგრესისა და სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის, გარემოს, საკუთარი საქმიანობის ეფექტიანობის

შესაფასებლად სისტემატურად იყენებს შეფასებისა და დაკვირვების მრავალფეროვან არაფორმალურ და ფორმალურ მეთოდებს.“

„3. აღმზრდელ-პედაგოგი შეფასების შედეგებზე დაყრდნობით აყალიბებს სააღმზრდელო-საგანმანათლებლო მიზნებს, როგორც თითოეული ბავშვის, ისე მთელი ჯგუფისთვის, ადაპტირებას უკეთებს არსებულ სასწავლო გეგმას, იცის სხვადასხვა ტიპის გეგმების შედგენის პრინციპები და ქმნის სხვადასხვა ხანგრძლივობის სააღმზრდელო-საგანმანათლებლო გეგმებს (ინდივიდუალურ, ყოველდღიურ, კვირის, თვის, წლის).“

„4. აღმზრდელ-პედაგოგმა იცის ფიზიკური და ფსიქიკური განვითარების დარღვევის/შეფერხების ფორმები.“

„5. აღმზრდელ-პედაგოგი დაკვირვებისა და შეფასების საფუძველზე განსაზღვრავს სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესში დამატებითი პერსონალის ჩართვის/დამატებითი მომსახურების შეთავაზების საჭიროებას (მაგ.: მულტიდისციპლინური გუნდი, სპეციალური პედაგოგი, ენისა და მეტყველების თერაპევტი, ფსიქოლოგი და ა.შ.).“

„6. აღმზრდელ-პედაგოგი ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების პროცესში აწარმოებს შესაბამის დოკუმენტაციას (ჩანაწერებს, პორტფოლიოს და სხვა).“

„7. აღმზრდელ-პედაგოგი შეფასების პროცესში (განხორციელების, შედეგების ანალიზისა და შესაბამისი ანგარიშის მომზადებისას) ითვალისწინებს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროში არსებულ სტანდარტებს, ეთიკის პრინციპებს.“

„8. აღმზრდელ-პედაგოგი მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს ინდივიდუალურად (წერილობითი ან ზეპირი ფორმით) აცნობს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების შედეგებს, მათთან ერთად განიხილავს ბავშვის განვითარებასა და განათლებასთან დაკავშირებულ სამომავლო გეგმებს, მიზნებსა და გამოწვევებს; შედეგების განხილვისას პირველ რიგში აქცენტს აკეთებს ბავშვის ძლიერ მხარეებსა და მიღწევებზე.“



*„9. აღმზრდელ-პედაგოგი, საჭიროების შემთხვევაში, დაკვირვებისა და შეფასების შედეგებს კონფიდენციალურობის პრინციპების დაცვით განიხილავს კოლეგებთან და სხვა პროფესიონალებთან (მკვლევრებთან, მონიტორებთან).“*

სკოლამდელი განათლების საკანონმდებლო სივრცეში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ასევე, „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების“. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები განსაზღვრავენ თუ რა ცოდნას, უნარ-ჩვევებს, ღირებულებებსა და დამოკიდებულებებს უნდა იძენდეს ბავშვი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ფარგლებში, ასევე განსაზღვრავს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების გარემოსა და საგანმანათლებლო ხარისხის სტანდარტს. ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტი ითვალისწინებს ბავშვის განვითარების სფეროებსა თემატური მიმართულებების შესაბამისად ბავშვისთვის მრავალმხრივი ინფორმაციის გადაცემასა და ასაკის შესაბამისი დარგობრივი ცოდნის დაუფლებას, ასევე ხელს უწყობს ბავშვის განვითარების სფეროებში მოცემული უნარების ათვისებასა და ცოდნის შექმნას.

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტში“ განსაზღვრულია, რომ აღმზრდელ-პედაგოგი აღმზრდელთან ერთად თითოეულ ბავშვზე დაკვირვებასა და შეფასებას იყენებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და მოდიფიცირებისთვის, თითოეული ბავშვის მრავალმხრივი და ჰოლისტური განვითარებისთვის. ბავშვზე დაკვირვება და შეფასება ემსახურება საგანმანათლებლო პროცესის ინდივიდუალიზაციას თითოეული ბავშვის პროგრესისა და ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენის უზრუნველსაყოფად; ბავშვის შეფასების პროცესში არ ხდება სტიგმატიზაცია (იარლიყების მიწებება). აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი ქმნიან და აწარმოებენ თითოეული ბავშვის ინდივიდუალურ პორტფოლიოებს.

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტში“ ასევე განსაზღვრულია როდის და როგორ უნდა იღებდეს მშობელი ინფორმაციას. ასევე აღმზრდელ პედაგოგი ვალდებულია, რომ მშობელს სთავაზობდეს

ბავშვის განვითარებისათვის ხელშემწყობ საქმიანობებს, მათთან ერთად იმუშავებდეს სხვადასხვა სტრატეგიას პროგრამის ფარგლებში დასახული მიზნების მისაღწევად.

დროთა განმავლობაში სახელმწიფოსათვის უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება სკოლამდელი განათლება. საკითხის მნიშვნელობამ და აქტუალობამ მოითხოვა ცვლილებები სკოლამდელი განათლების პოლიტიკის მხრივ. სკოლამდელი განათლების სიტემაში მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა 2006 წელს, როდესაც განხორციელდა დეცენტრალიზაციის პროცესი და ბალები ადგილობრივ თვითმართველობას დაექვემდებარა. დღეისათვის ბალები მუნიციპალიტეტების მიერ იმართება. სკოლამდელი განათლების მნიშვნელობამ მოითხოვა მისი დახვეწა და გარკვეულ ჩარჩოში მოქცევა. ყველა საკითხთან ერთად საჭირო გახდა შექმნილიყო დოკუმენტი, რომელიც დაარეგულირებდა და განსაზღვრავდა შეფასების სისტემასა და კომპონენტებს სკოლამდელ დაწესებულებებში.

სკოლამდელ განათლებაში დღეს არსებული შეფასების ფორმა შედგენილია 2011 წელს საქართველოს განათლებისა, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ფინანსური მხარდაჭერით. აღნიშნული შეფასების ფორმა ძირითადად ეყრდნობა ორ დოკუმენტის „ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტისა“ და „სკოლამდელი განათლების პროგრამას“. იგი მოიცავს ბავშვის განვითარების ხუთი საფეხურიდან (ფიზიკური და სენსორული განვითარება; სოციალურ-ემოციური განვითარება; კომინიკაციური უნარების, ენისა და მეტყველების განვითარება და დამოუკიდებლობისა და ადაპტური ქცევის განვითარება) ზოგიერთი ინდიკატორის ჩამონათვალს.

აღნიშნული დოკუმენტი არ წარმოადგენს ტესტს ანუ შეფასების სტანდარტულ ინსტრუმენტს, რაც გულისხმობს იმას, რომ მისი გამოყენება არ შეიძლება დიაგნოსტიკის მიზნით. შეფასების სქემა დაყოფილია ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით: 2-3 წლიანთა ჯგუფი; 3-4 წლიანთა ჯგუფი; 4-5 წლიანთა ჯგუფი; 5-6 წლიანთა ჯგუფი. როგორც სქემის შემდგენლები აღნიშნავენ შეფასების სქემაზე მითითებული ასაკი საორიენტაციო ხასიათისაა და არ ნიშნავს, რომ ამ ასაკის ყველა ბავშვს უნდა შეეძლოს ამა თუ იმ ინდიკატორის დამოუკიდებლად, სრულყოფილად შესრულება. უბრალოდ, განსაზღვრული ასაკი ხელს უწყობს მშობლებს და

აღმზღველებს, მხედველობაში იქონიონ განვითარების ყველა სფერო და დაეხმარონ ბავშვს მრავალმხრივ განვითარებაში (სკოლამდელი ასაკის ბავშვთა შეფასების ფორმა, 2011)<sup>6</sup>.

სკოლამდელი ასაკის ბავშვთა შეფასების ფორმა უნდა შეივსოს წელიწადში ორჯერ: ბავშვის საბავშვო ბაღში მისვლიდან ერთი თვის განმავლობაში და წლის ბოლოს. შემფასებელი უნდა იყოს აღმზრდელი ან სკოლამდელი დაწესებულების თანამშრომელი (დამხმარე სპეციალისტი: ფსიქოლოგი, ლოგოპედი...), როლმელიც ყველაზე ხშირად ურთიერთობს ბავშვთან. ამასთან მნიშვნელოვანია, რომ შეფასების პროცესში აქტიურად იყოს ჩართული მშობელი ან ბავშვის მეურვე (ვინც კარგად ფლობს ინფორმაციას ბავშვზე). შეფასების ძირითადი ინსტრუმენტია დაკვირვება. შეფასებისას აუცილებელია, რომ დაკვირვება განხორციელდეს სახვადასხვა გარემოში: სასწავლო/სათამაშო, რუტინული აქტივობების შესრულების პროცესში („სკოლამდელი ასაკის ბავშვთა შეფასების ფორმა“, 2011).

სკოლამდელი ასაკის ბავშვთა შეფასების ფორმის შევსების წესში აღნიშნულია, რომ პირველ რიგში საჭიროა შეივსოს საინფორმაციო ფურცელი, სადაც მიეთითება ბავშვის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, ბავშვის მშობლიური ენა, ბავშვის ბაღში მიღების თარიღი და ბავშვის ინდივიდუალური პროგრამის საჭიროებების შესახებ ინფორმაცია და ყველა იმ პიროვნების სახელი, გვარი ვინც მონაწილეობას მიიღებს შეფასების ფორმის შევსებაში. ამის შემდეგ ხდება ბავშვის შეფასება შეფასების ფორმაში მითითებული ინდიკატორების შესაბამისად. შეფასების ფორმაში წარმოდგენილი ინდიკატორები დაყოფილია ჯგუფებად და ქვეჯგუფებად. თვალსაჩინოებისათვის წარმოდგენთ ერთ-ერთი ჯგუფის 2-3 წლიანთა აღსაზრდელთა შეფასების ფორმის ინდიკატორებს (ინდიკატორების რაოდენობა და შინაარსი იცვლება ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით):

#### **ფიზიკური განვითარება**

1. ინარჩუნებს წონასწორობას დახრისა და სირბილის დროს;
2. ადის კიბეზე უფროსის დახმარებით (ხელის მოკიდებით);
3. ჩამოდის კიბეზე უფროსის დახმარებით;

<sup>6</sup> [http://preschooleducation.ge/admin/uploads/4.%20INSTRUMENT\[1\].pdf](http://preschooleducation.ge/admin/uploads/4.%20INSTRUMENT[1].pdf) (21.02.2019)

4. დახმარებით წინ ყირაზე გადადის (კოტრიალდება);
5. გაჩერებულ ბურთს ურტყამს ფეხს;
6. ძვრება ცარიელ ყუთში;
7. დგება ცალ ფეხზე ერთი წამის განმავლობაში;
8. ორივე ფეხით ადგილზე ხტუნავს;
9. დადის უკუსვლით;
10. შეუძლია ფეხის წვერებზე სიარული;
11. შეუძლია 20 სმ-ის სიმალიდან გადმოხტომა;
12. შეუძლია ბურთის სროლა 1.5 მეტრის მანძილზე;
13. 1 მეტრის დაშორებით გაშლილი ხელებით იჭერს 10-13 სმ დიამეტრის ბურთს;
14. შეუძლია ვარჯიში 5-10 წუთის განმავლობაში;
15. სათითაოდ ფურცლავს წიგნის ფურცლებს;
16. ფურცლებს მიბაძვით შუაზე კეცავს და ხელით ასწორებს;
17. ხსნის ხრახნიანი ბოთლის სახურავს;
18. აშენებს კომკს 5-6 კუბიკისაგან;
19. ძერწავს პლასტელინისაგან მარტივ ფიგურებს: „ბურთს“, „ძეხვს“;

#### **თვითმომსახურება**

20. დამოუკიდებლად ჭამს კოვზით (უჭირავს მუშტით);
21. კოქტეილის ჩხირით სვამს სითხეს ჭიქიდან;
22. იხდის და იცვამს ქურთუკს;
23. ონკანიდან დაუხმარებლად ისხამს წყალს;
24. იმშრალავს ხელებს;
25. ტუალეტში წასვლის საჭიროებას სიტყვით ან ჟესტით გამოხატავს;
26. საფრთხეს თავს არიდებს, მაგ.: გატეხილ ჭურჭელს, ავეჯის ბასრ კიდეებს, გახურებულ ზედაპირს.

#### **შემეცნების სფერო**

1. შეუძლია უფროსის დახმარებით ერთი მახასიათებლების მიხედვით დაეცოს საგნები ორ ჯგუფად (მაგ., ერთნაირი მანქანები დაეცოს ორ ჯგუფად - დიდი და პატარა მანქანებად);

2. ნიმუშის მიხედვით შეუძლია 3 ფერის გარჩევა;
3. შეუძლია უფროსის ჩვენებით 3-4 ნაწილიანი პირამიდის აწყობა;
4. დისკოს ფორმის დაფაზე ამოჭრილი ადგილას არგებს და ჭრილში სვამს ორგანზომილებიან ფორმებს (წრეს, სამკუთხედს, ოთხკუთხედს);
5. გვიჩვენებს სხეულის ძირითად ნაწილებს (მინიმუმ 4 ნაწილს);
6. ამბობს საკუთარ სახელსა და გვარს;
7. თავის თავს მიაკუთვნებს შესაბამის სქესს (გოგონებს ან ბიჭებს);
8. შეუძლია დათვლა 3-მდე;
9. ასაკს გვიჩვენებს შესაბამისი რაოდენობის თითების აწევით;
10. შეუძლია ორი მოვლენის დაკავშირება (მაგ., დაბნელდა იმიტომ, რომ მზე ჩავიდა);
11. აკვირდება და ბაძავს თამაშს, სიმღერას, რიტმულ მოძრაობას;
12. ილუსტრირებული წიგნის დათვალიერებისას სვამს კითხვებს: ვინ არის? რა არის? რას აკეთებს?;
13. დაახლოებით 20 წუთის განმავლობაში ჩართულია თავის მიერვე არჩეულ საქმიანობაში;
14. უპირატესობას ანიჭებს გარკვეულ სათამაშოს, წიგნს და თამაშს;
15. ცნობს საყვარელ მულტფილმებს, ან ზღაპრის გმირებს;
16. საგნებს იყენებს სხვადასხვა დანიშნულებით, წარმოსახვითად (მაგ., ჯოხს იყენებს როგორც ცხენს, ან თოფს და ა.შ.);
17. ბაძვას რამდენიმე ცხოველს, საგანს ხმას ან მოძრაობას (მაგ., დახტის კურდღელივით, კიკინებს თხასავით).

### **მეტყველების განვითარება**

1. შეუძლია მარტივი რიტმული სახის მოქმედებების შესრულება (მაგ., დარბაზში მუსიკალური აქტივობის დროს უკრავს ტაშს, აბაკუნებს ფეხებს);
2. შეუძლია ტემპისა და სიჩქარის იმიტაცია, მაგ., ტაშის დაკვრა ჩქარა, შემდეგ ნელა, ან პირიქით - ტაშის დაკვრა ჯერ ნელა, შემდეგ ჩქარა;
3. შეუძლია ისაუბროს უმრავლესობისთვის გასაგებად;

4. თავისუფლად იყენებს სხვადასხვა საშუალებას, როგორც სიტყვებს, ასევე ჟესტებს - თავისი განცდების, არჩევანის, სურვილის გამოსახატად;
5. იღებს უფროსის ინსტრუქციას, ერთ ან ორსაფეხურიან მითითებას (მაგ., „ჩაალაგე სათამაშოები ყუთში);
6. იყენებს 2-3 სიტყვიან წინადადებას; აწყვილებს სახელებსა და ზმნებს;
7. ჰყვება საბავშვო ერთსტროფიან ლექსებს;
8. სიამოვნებით ისმენს მოკლე ზღაპრებს, მოთხრობებს, რომლებსაც უყვებიან;
9. როდესაც მისთვის ნაცნობ წიგნს ვუკითხავთ, შეუძლია წინასწარ თქვას, თუ რა მოხდება შემდეგ;
10. იყენებს ზოგიერთ ზედსართავ სახელს, მაგ., ცივი, ცხელი, მაგარი;
11. ხმარობს მრავლობით ფორმებს;
12. სწორად ხმარობს ზოგიერთი ზმნის წარსული დროის ფორმებს;

#### **წერისთვის მომზადება**

13. შეუძლია ნიმუშის მიხედვით ვერტიკალური ხაზის გავლება;
14. შეუძლია ნიმუშის მიხედვით ჰორიზონტალური ხაზი გავლება;
15. ნიმუში მიხედვით ხაზავს წრეს (წრიული ფორმის ფიგურას);
16. ხატავს თითებით მთელი ხელის მოძრაობით;
17. ცდილობს სწორად დაიჭიროს ხელში სქელი ფანქარი საჩვენებელი და ცერა თითით.

#### **სოციალურ ემოციური სფერო**

1. იცის, როდის უნდა მიმართოს უფროსს დახმარებისათვის;
2. ითვალისწინებს და იცავს მარტივ წესებს, მაგ., იბანს ხელს, ჯდება მაგიდასთან, „ეხმარება“ დალაგებაში და ა.შ.;
3. აჩვენებს შესრულებულ ნამუშევარს უფროსს (ნახატს, აშენებულ კოშკს), რომლისგანაც მოელის წარმატების აღიარებას;
4. იწყებს მოქმედებას მომვლელის რჩევით (მაგ., ემორჩილება უფროსის შეთავაზებას - ჩაალაგოს სათამაშოები ყუთში);
5. თამაშის დროს უფროსის დახმარებით იცავს რიგს/ჯერს;

6. ამჩნევს და ასახელებს საკუთარ და სხვის ემოციებს (სიხარულს, შიშს, მოწყენილობას);
7. საგნებს იყენებს სხვადასხვა დანიშნულებით, წარმოსახვითად (მაგ., ჯოხს იყენებს, როგორც ცხენს, ან თოფს და ა.შ.);
8. ამჟღავნებს ცნობისმოყვარეობას, როდესაც სხვა ბავშვი ნაწყენია ან რამეს არასწორად აკეთებს.

ბავშვის შეფასებისას ინდიკატორის გასწვრივ შესაბამის გრაფაში + ან √ ნიშნით უნდა აღინიშნოს შესაბამისი კრიტერიუმი იმის მითითებით, როგორ ასრულებს ბავშვი დავალებას: ყოველთვის სწორად ასრულებს/ცდილობს ნაწილობრივ ასრულებს/საერთოდ ვერ ასრულებს. თითოეული ჯგუფის ინდიკატორების ბოლოს არის ადგილი გამოყოფილი კომენტარისთვის, რომელიც საშუალებას აძლევს შემფასებელს შეიტანოს დამატებითი ინფორმაცია ბავშვის შესახებ.

სკოლამდელი ასაკის ბავშვთა შეფასების ფორმის შემდგენლები მიუთითებენ, რომ მოცემული შეფასების ფორმის შევსების შედეგად მიღებული ინფორმაცია ეხმარება აღმზრდელს:

- გაიცნოს თითოეული აღსაზრდელი; გაარკვიოს მისი ფუნქციონირების ასეული დონე (რა იცის, რა გამოსდის ყველაზე კარგად, რაში სჭირდება დამხმარება);
- მიზანმიმართულად დაგეგმოს და განახორციელოს ისეთი აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს აღსაზრდელის გარკვეული უნარების განვითარებას;
- სასწავლო წლის ბოლოს ხელახალი შეფასების/გადაფასების საფუძველზე გაზომოს ბავშვის სწავლა-აღზრდის პროცესში მიღწეული შედეგები;
- გაარკვიოს მშობლის მოლოდინები ბავშვთან მიმართებაში;
- განსაზღვროს აღსაზრდელის მეტ-ნაკლები მზაობა სკოლისათვის.

აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი ქმნიან, შემდგომ კი აწარმოებენ თითოეული ბავშვის ინდივიდუალურ პორტფოლიოებს. ბავშვზე დაკვირვება და შეფასება ემსახურება საგანმანათლებლო პროცესის ინდივიდუალიზაციას თითოეული ბავშვის პროგრესისა და ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენის

უზრუნველყოფას. ბავშვის შეფასების პროცესში არ ხდება სტიგმატიზაცია (იარლიყების მიწებება), რაც გულისხმობს იმას, რომ უნდა შეფასდეს ბავშვის ქცევა და არა თვითონ ბავშვი („სკოლამდელი ასაკის ბავშვთა შეფასების ფორმა“, 2011).

შეფასების ფორმის შევსების ინსტრუქციაში მითითებულია, რომ მისი შევსებისას აუცილებელია მშობლის ჩართულობა და რომ შეფასების ფორმა ეხმარება მშობელს ბავშვზე ინფორმაციის მიღებაში, მაგრამ არსად არ არის მითითებული როგორ რა ფორმით ხდება მშობლის ჩართულობა შეფასების ფორმის შევსებისას, ან როგორ ეცნობა მშობელი ბავშვზე ინფორმაციას. 2018 ჩატარებული კვლევაში „ხარისხიანი სკოლამდელი განათლება საქართველოში“ აღნიშნულია, რომ დღეს არსებული მდგომარეობით მშობლებთან კომუნიკაცია ძირითადად დასკვნითი ღონისძიებით ეგრეთწოდებული „ზეიმით“ ამოიწურება. მშობლები ეცნობიან საბავშვო ბაღში მიმდინარე პროცესის მხოლოდ „დასკვნით ეტაპს“ და არა ყოველდღიურ პრაქტიკას წლის განმავლობაში (ხარისხიანი სკოლამდელი განათლება საქართველოში, 2018).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან, გამომდინარე საქართველოს სკოლამდელი განათლების საკანონმდებლო ბაზა ცდილობს, როგორღაც ჩარჩოში მოაქციოს და სიტემაში მოიყვანოს შეფასების საკითხი სკოლამდელ განათლებაში. რითაც მიანიშნებს მის მნიშვნელობასა და აუცილებლობას ბავშვის განვითარების პროცესში.



## თავი მეოთხე: სკოლამდელი განათლების საფეხურზე აღსაზრდელოს შეფასება - უცხოეთის გამოცდილება

### 4.1. სკოლამდელი განათლების საფეხურზე აღსაზრდელოს შეფასების პრაქტიკა რუსეთის ფედერაციულ რესპუბლიკაში

რუსეთში სკოლამდელ განათლებას საკმაოდ დიდი ისტორია აქვს, ის ჯერ კიდევ IX-XII საუკუნეებში იკვეთება. ცხადია, მაშინდელი სკოლამდელი განათლება არ იქნებოდა იმ სახით, როგორც დღევანდელობაში გვაქვს. განსხვავებულია მისი ფორმა, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ შინაარსი უცვლელია, რადგან მაშინაც და დღესაც მთავარ იდეას ბავშვის აღზრდა და განათლება წარმოადგენდა.

რუსეთის თანამედროვე სკოლამდელი მდგომარეობა სისტემურ ხასიათს ატარებს. უპირველეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ მთავარი დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს მთლიანად განათლების სისტემას და მათ შორის სკოლამდელ განათლებას, ეს არის „რუსეთის ფედერალური კანონი განათლების შესახებ“. კანონი შემუშავებულია 2012 წლის 21 დეკემბერს და ძალაში შესულია 2012 წლის 29 დეკემბერს დადგენილებით - # 273- Φ3.

კანონის რეგულაციის სფეროს წარმოადგენს სკოლამდელი, დაწყებითი, საბაზო, საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლება. კანონის თანახმად რუსეთის ფედერაციაში უფასო და ხელმისაწვდომია ყველა ტიპის განათლება გარდა უმაღლესისა.

კანონის მე-7 თავის რამდენიმე მუხლი არეგულირებს სკოლამდელი განათლების საკითხებს.

64-ე მუხლის 1-ლი ქვეპუნქტი აღწერს სკოლამდელი განათლების ფორმებსა და ამოცანებს. სკოლამდელი განათლება მიზნად ისახავს, საერთო კულტურის ფორმირებას, ასევე მისი მიზანია, განავითაროს ბავშვში, ფიზიკური, ესთეტიური, პიროვნული, გონებრივი თვისებები. პასუხისმგებელია ბავშვების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე.

64-ე მუხლის მე-2 ქვეპუნქტი არეგულირებს სკოლამდელი დაწესებულებების გარემოს, ამის მიხედვით, გარემო უნდა იყოს განვითარების შესაბამისად მოწყობილი, ის უნდა ამზადებდეს ბავშვებს დაწყებითი განათლებისათვის.

მეორე დოკუმენტი, რომელიც მნიშვნელოვანია სკოლამდელი განათლებისათვის არის „ფედერალური სახელმწიფო სტანდარტი სკოლამდელი განათლებისთვის“, რომელიც რუსეთის ისტორიაში პირველად შეიქმნა 2013 წლის 1-ლი სექტემბერს, ხოლო ძალაში შევიდა ფედერალური კანონის "განათლების შესახებ რუსეთის ფედერაციის" მოთხოვნების შესაბამისად 2014 წლის 1-ლი იანვრიდან. სწორედ სკოლამდელი განათლების ფედერალურ სტანდარტზე დაყრდნობით არის შემუშავებული სკოლამდელი განათლების სამაგალითო საგანმანათლებლო პროგრამები რუსეთში.

ფედერალური სახელმწიფო სტანდარტი მიზნად ისახავს შემდეგს:

*„1) ბავშვთა ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვა და გაძლიერება, მათ შორის ემოციური კეთილდღეობა;“*

*„2) სკოლამდელი ასაკის ბავშვებში სრულფასოვანი განვითარების უზრუნველყოფა, მიუხედავად მათი საცხოვრებელი ადგილისა, სქესისა, ეროვნებისა, ენისა, სოციალური სტატუსისა, ფსიქო-ფიზიოლოგიური და სხვა მახასიათებლებისა (მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობები);“*

*„3) სხვადასხვა დონის საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შემუშავებული მიზნებისა და შინაარსის შემდგომი უწყვეტობის უზრუნველყოფა (შემდგომში - სკოლამდელი და ზოგადი განათლების ძირითადი საგანმანათლებლო პროგრამების უწყვეტობა);“*

*„4) ბავშვთა განვითარებისათვის მათი ასაკისა და ინდივიდუალური მახასიათებლებისა და უნარ-ჩვევების, შესაძლებლობების განვითარება თითოეული ბავშვის შემოქმედებითი პოტენციალის შესაბამისად, ბავშვის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა;“*

*„5) სულიერი, მორალური და სოციალურ-კულტურული ფასეულობებისა და ინდივიდუალური, ოჯახისა და საზოგადოების ინტერესებში საზოგადოების მიერ მიღებული ქცევის ნორმებისა და ნორმების საფუძველზე სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამის ინტეგრირება;“*

„6) ბავშვის პიროვნების საერთო კულტურის ჩამოყალიბება, ჯანსაღი ცხოვრების წესის ღირებულებები, მათი სოციალური, მორალური, ესთეტიკური, ინტელექტუალური, ფიზიკური თვისებები, ბავშვის დამოუკიდებლობა და პასუხისმგებლობა, სწავლის წინაპირობების ჩამოყალიბება;“

„7) სკოლამდელი განათლების პროგრამებისა და ორგანიზაციული ფორმების მრავალფეროვნების უზრუნველსაყოფად, სხვადასხვა სახის პროგრამების შექმნის შესაძლებლობა, ბავშვების საჭიროებების, შესაძლებლობებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით;“

„8) ბავშვთა ასაკის, ინდივიდუალური, ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური მახასიათებლების შესაბამისი სოციოლოგიური გარემოს ჩამოყალიბება;“

„9) ოჯახისთვის ფსიქოლოგიური და პედაგოგიური მხარდაჭერა და მშობლების კომპეტენციის ამაღლება (იურიდიული წარმომადგენლები) განვითარებისა და განათლების საკითხებში, ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვისა და ხელშეწყობისათვის.“

[„Приказ Министерства образования и науки Российской Федерации (Минобрнауки России) от 17 октября 2013 г. N 1155 г. Москва «Об утверждении федерального государственного образовательного стандарта дошкольного образования“]

ჩვენი თემიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია „ფედერალური სახელმწიფო სტანდარტის სკოლამდელი განათლებისთვის“ 3.2.3 პუნქტი, რომლის მიხედვითაც სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამის განხორციელების პროცესში საჭიროა ბავშვთა ინდივიდუალური შეფასების უზრუნველყოფა. შეფასება უნდა განხორციელდეს აღმზრდელის მიერ პედაგოგიური დიაგნოსტიკის ფარგლებში (სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ინდივიდუალური განვითარების შეფასება დაკავშირებულია პედაგოგიური მოქმედებების ეფექტურობის შეფასებისა და მათ შემდგომ დაგეგმვაზე). პედაგოგიური დიაგნოსტიკის შედეგები (შეფასება) შეიძლება გამოვიყენოთ მხოლოდ ისეთი საგანმანათლებლო ამოცანების გადაჭრისთვის, როგორებიცაა: განათლების ინდივიდუალიზაცია (მათ შორის ბავშვის მხარდაჭერა, მისი საგანმანათლებლო ტრაექტორიის შექმნა ან მისი განვითარების თავისებურებების პროფესიონალური შესწორება); ბავშვთა ჯგუფთან მუშაობის ოპტიმიზაცია.

საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენება ბავშვთა განვითარების ფსიქოლოგიური დიაგნოსტიკა (ბავშვთა ინდივიდუალური ფსიქოლოგიური მახასიათებლების იდენტიფიკაცია და შესწავლა), რომელსაც ახორციელებენ კვალიფიციური სპეციალისტები (საგანმანათლებლო ფსიქოლოგები, ფსიქოლოგები). ფსიქოლოგიურ დიაგნოსტიკაში ბავშვის მონაწილეობა დასაშვებია მხოლოდ მშობლების (კანონიერი წარმომადგენლები) თანხმობით. ფსიქოლოგიური დიაგნოზის შედეგები შეიძლება გამოვიყენოთ ფსიქოლოგიური დახმარების აღმოსაფხვრელად და ბავშვის განვითარებისათვის საჭირო ცვლილებების გასატარებლად.<sup>7</sup>

პედაგოგიური დიაგნოსტიკა და ფსიქოლოგიურ დიაგნოსტიკა ერთმანეთისგან განსხვავდება იმით, რომ პედაგოგიური დიაგნოსტიკა ტარდება ბავშვისთვის ნაცნობ გარემოში (ყოველდღიური საქმიანობა, სეირნობა, საგანმანათლებლო საქმიანობა). ფსიქოლოგიური დიაგნოსტიკა, როგორც წესი, ტარდება ფსიქოლოგის ოფისში, რომელიც არის ახალი, სრულიად უცხო გარემო ბავშვისთვის. პედაგოგიური დიაგნოსტიკის შედეგების რეგისტრაცია არ არის სტანდარტიზებული, პედაგოგი თავად ქმნის ან ირჩევს მისთვის მოსახერხებელ შეფასების ფორმას (დღიური ჩანაწერები, განვითარების ბარათები

და ა.შ.) ხოლო ფსიქოლოგიური შეფასებისას ყველა მონაცემი და ფსიქოლოგიური დიაგნოზის შედეგები მოცემულია ოქმებში, წინასწარ დამტკიცებული ფორმით.<sup>8</sup>

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბავშვის განვითარების შეფასებისას პედაგოგი თავად ქმნის ან ირჩევს თავისთვის მოსახერხებელ შეფასების ფორმას, მაგრამ რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკა მაინც ცდილობს ინდივიდუალური შეფასების სისტემის სტანდარტიზაციას.

ბავშვთა ინდივიდუალური განვითარების შეფასების სისტემები და განხორციელების პირობები დამტკიცებულის მუნიციპალიტეტების მიხედვით. ისინი რამდენადმე განსხვავებულია, მაგრამ ძირითადი მიზანი, ფორმები, პროცესები, მეთოდები და ვადები თითქმის ერთნაირია. ძირითადად, განსხვავებას იძლევა შეფასების მეთოდების ბლოკი.

<sup>7</sup> [https://pravobraz.ru/federalnyj-gosudarstvennyj-obrazovatelnyj-standart-doshkolnogo-obrazovaniya/\(26.03.2019\)](https://pravobraz.ru/federalnyj-gosudarstvennyj-obrazovatelnyj-standart-doshkolnogo-obrazovaniya/(26.03.2019))

<sup>8</sup> <https://docplayer.ru/30699927-Ocenka-individualnogo-razvitiya-detey-doshkolnogo-vozhraza-v-ramkah-pedagogicheskoy-diagnostiki-fgos-do.html> (26.03.2019)

„ბავშვთა ინდივიდუალური განვითარების შეფასების სისტემა“ ეყრდნობა შემდეგ ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებს: „რუსეთის ფედერალური კანონი განათლების შესახებ“ (2012 წელი 29 დეკემბერი); „ფედერალური სახელმწიფო სტანდარტი სკოლამდელი განათლებისთვის“ (2013 წელი 1 სექტემბერი); „სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური მოთხოვნები სკოლამდელი განათლების დაწესებულებების მოწყობის, მოვლა-შენახვისა და ორგანიზაციის მუშაობის შესახებ დადგენილება“ (2013 წელი 15 მაისი №26 დადგენილება).

დოკუმენტი („ბავშვთა ინდივიდუალური განვითარების შეფასების სისტემა“) განსაზღვრავს ბავშვთა ინდივიდუალური შეფასების განხორციელების წესს, დანიშნულებას, მიზანს, ამოცანებს, პარამეტრებს, კრიტერიუმებს, საშუალებებს ბავშვთან ინდივიდუალური განვითარების შეფასების განხორციელებისას სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში.

ბავშვის ინდივიდუალური განვითარების შეფასების მიზანია: ბავშვის ინდივიდუალური მიღწევების პროცესის შესწავლა სკოლამდელი ასაკისთვის დაგეგმილი საბოლოო შედეგებისა და ძირითადი საგანმანათლებლო პროგრამის აღსაზრდელში გამოვლენილი ფორმების დინამიკას „ფედერალური სახელმწიფო სტანდარტში სკოლამდელი განათლებისთვის“ აღწერილი მიზნებისა და ორიენტირების შესაბამისად, რომელებიც უნდა აითვისონ შვიდ წლამდე ბავშვებმა.

ბავშვის ინდივიდუალური განვითარების შეფასების ამოცანებია:

- ინფორმაციის შეგროვება აღსაზრდელების ინდივიდუალური განვითარების სფეროების მიხედვით;
- აღსაზრდელის განვითარების ცვლილებების ანალიზის შედეგა;
- საჭირო ღონისძიებების განსაზღვრა საგანმანათლებლო პროცესში;
- თითოეული აღსაზრდელისათვის ინდივიდუალური მარშრუტის განსაზღვრა.

სკოლამდელი განათლების დაწესებულებების პირობებში ბავშვთა ინდივიდუალური განვითარება ფასდება ყველა ასაკობრივ ჯგუფში განათლებისა და განვითარების შემდეგი მიმართულებებით:

- სოციალურ-კომუნიკაციური განვითარება;
- შემეცნებითი განვითარება;

- მეტყველების განვითარება;
- მხატვრულ-ესთეტიკური განვითარება;
- ფიზიკური განვითარება.

ბავშვის ინდივიდუალური განვითარების მონიტორინგს აწარმოებს სკოლამდელი დაწესებულების ყველა სპეციალისტი, რომელსაც შეეხება აქვს ბავშვთან მისი აღზრდის პროცესში. ერთი და იმავე ბავშვის განვითარების სფეროების შესწავლა ხორციელდება სხვადასხვა სპეციალისტისა და მეთოდოლოგიის მეშვეობით, რათა უფრო ზუსტი, კომპლექსური და ობიექტური წარმოდგენა შეიქმნას ბავშვის ცოდნისა და განვითარების ფორმირების შესახებ.

ბავშვის შესახებ ინფორმაციის შეგროვების ძირითად საშუალებად განსაზღვრულია **ბავშვის განვითარების დაკვირვების რუკა**, რომელიც საშუალებას გვაძლევს დავაფიქსიროთ განვითარების დინამიკა და პერსპექტივა თითოეული ბავშვისათვის განვითარების ყველა მიმართულებით.

შესაფების რუკის შედგენისას ძირითადად გამოიყენება შემდეგი მეთოდები: დაკვირვება (მიზანმიმართული და სისტემური შესწავლა, ინფორმაციის შეგროვება, მოქმედების ფიქსაცია და ქცევების გამოვლინება); საუბარი; ტესტირება; მოქმედებების შეგროვების ანალიზი; შედარებითი ანალიზი. შეფასებისას მოპოვებული ინფორმაცია აუცილებელია იყოს სრული, კონკრეტული, ობიექტური და დროული.

ბავშვთა ინდივიდუალური განვითარების შეფასების სისტემის მიხედვით, ბავშვის ინდივიდუალური განვითარება ფასდება წელიწადში ორჯერ: სასწავლო წლის დასაწყისში - ოქტომბრის პირველ ან მეორე კვირაში და სასწავლო წლის დასრულებისას - მაისის მეორე ან მესამე კვირაში. მონიტორინგის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს ორ კვირას. ასევე, ზოგიერთი შეფასების მეთოდი (მაგალითად, დაკვირვება) შესაძლოა გამოიყენონ მთელი წლის განმავლობაში. შეფასების შედეგების მიხედვით, პასუხისმგებელი პირები ავსებენ შეფასების ფურცელს.

ბავშვთა ინდივიდუალური განვითარების შეფასების სისტემის დოკუმენტი პედაგოგებს უყენებს ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებს.

პედაგოგი ვალდებულია:

- ტაქტიანად მოექცეს ყველა ბავშვს;

- შედეგები გააცნოს მშობლებს;
- შეინარჩუნოს კონფიდენციალურობა.
- პედაგოგი იღებს პასუხისმგებლობას:
- ჩატარებული პროცესების ხარისხზე (შეკრება; დამუშავება; ანალიზი; შედეგების შენახვა);
- შეფასების ვადების დარღვევაზე და საანგარიშო დოკუმენტების გაფორმებაზე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუსეთის ფედერაციაში სკოლამდელი განათლების საფეხურზე შეფასება ხდება შეფასების რუკის მიხედვით. ფასდება თითოეული ბავშვი ინდივიდუალურად. შეფასების რუკა დაყოფილია ბავშვის განვითარების საფეხურების მიხედვით. ესენია: სოციალურ-კომუნიკაციური განვითარება; შემეცნებითი განვითარება; მეტყველების განვითარება; მხატვრულ-ესთეტიკური განვითარება; ფიზიკური განვითარება. თითოეულ საფეხურში გამოყოფილია ინდიკატორები, რომელსაც უნდა მიაღწიოს ბავშვმა თავისი განვითარების ეტაპზე. შეფასების რუკაში წარმოდგენილი ინდიკატორები დაყოფილია ჯგუფებად და ქვეჯგუფებად. თითოეული ინდიკატორის გასწვრივ იწერება ქულა შემდეგი პრინციპით: 2 ქულა - მაღალი დონე, ბავშვი ასრულებს შეფასების ყველა პარამეტრს დამოუკიდებლად; 1 ქულა - საშუალო დონე, ბავშვი ახორციელებს შეფასების ყველა პარამეტრს აღმზრდელის ნაწილობრივი დახმარებით (არსებობს პრობლემები ბავშვთა განვითარებაში, ასევე მცირე სირთულეები ჯგუფში პედაგოგიური პროცესის ორგანიზებაში); 0 ქულა - დაბალი დონე, ბავშვი ვერ ასრულებს შეფასების ყველა პარამეტრს, ზრდასრულთა დახმარებას არ იღებს ან ასრულებს გარკვეულ პარამეტრებს (ბავშვის განვითარების ასაკთან შეუსაბამობა და ამ პედაგოგიური ჯგუფებისათვის პედაგოგიური პროცესის შეცვლის აუცილებლობა).

ცხრილთან მუშაობის ტექნოლოგია ასეთია: პირველ ეტაპზე, თითოეული ბავშვის სახელისა და გვარის გასწვრივ მისი დონის შესაბამისად იწერება ქულა, რისი შეკრების შემდეგაც გამოითვლება თითოეული ბავშვის საბოლოო განვითარების დონე. ეს მაჩვენებელი აუცილებელია კონკრეტული ბავშვის აღწერისა და ინდივიდუალური მუშაობის ჩატარებისათვის საწყისი დიაგნოსტიკის შედეგების საფუძველზე სკოლამდელი განათლების ძირითად საგანმანათლებლო პროგრამების ათვისების

ხარისხის გასაუმჯობესებლად. მეორე ეტაპზე, ყველა ბავშვის შეფასების შემდეგ, განვითარების მაჩვენებელი გამოითვლება მთლიანად ჯგუფისთვის პროცენტებში. ითვლება რამდენი ბავშვია განვითარების მაღალ დონეზე, რამდენი ბავშვია განვითარების საშუალოზე დონეზე და რამდენი ბავშვია განვითარების დაბალ დონეზე. ეს მაჩვენებელი საჭიროა ძირითადი საგანმანათლებლო პროგრამის დაკომპლექტების ჯგუფის შუალედური შედეგების აღრიცხვის ჩანაწერებისთვის. შეფასების პროცესში მონაწილეობს ყველა ის აღმზრდელი, რომელსაც შეხება აქვს ბავშვთან. შეფასების ფორმის ნამდვილობასა და სისწორეს ადასტურებს ხელმოწერით ყველა ის პირი, ვინც, ჩართული იყო ბავშვის შეფასების ფორმის შევსებაში.<sup>9</sup>

თვალსაჩინოებისათვის წარმოვადგენთ ერთ-ერთი ჯგუფის 2-3 წლიანთა აღსაზრდელთა შეფასების რუკის ინდიკატორებს (ინდიკატორების რაოდენობა და შინაარსი იცვლება ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით):

### **სოციალურ-კომუნიკაციური განვითარება**

#### **1. სოციალიზაცია, კომუნიკაციის განვითარება, მორალური განათლება:**

1.1. გვიჩვენებს უარყოფით დამოკიდებულებას თანატოლების მიერ გამოწვეული პირადი თვისებების მიმართ;

1.2. ავლენს ელემენტარული ზრდილობის ფორმებს, ამბობს „გამარჯობას“ შეხვედრისას და დამშვიდობებისას „ნახვამდის“, ასევე ითხოვს მშვიდად რაც სურს და იყენებს სიტყვებს: „მადლობა“, „თუ შეიძლება“.

#### **2. თვითმომსახურება, დამოუკიდებლობა, შრომითი აღზრდა:**

2.1. თავისით იცვამს ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს, დამოუკიდებლად იკრავს ფეხსაცმელს, იწესრიგებს ტანსაცმელს, იყენებს კოვზს/ჩანგალს, ცხვირსახოცს, პირსახოცს და დადის საპირფარეშოში;

2.2. ასრულებს მარტივი შრომით დავალებებს, აღმზრდელის ელემენტარულ მითითებებს, რომელიც დაკავშირებულია ნებისმიერი საქმიანობის მომზადებასთან, საჭმლის ან დასუფთავების ჯგუფის ოთახში ან/და ბუნების კუთხეში.

#### **3. ბავშვი ოჯახში და საზოგადოებაში**

3.1. იცის თავისი სახელი;

<sup>9</sup> <https://nsportal.ru/detskii-sad/vospitatelnaya-rabota/2017/05/21/sistema-otsenki-individualnogo-razvitiya-detey-v-14.03.2019>



3.2. იცის თავისი ოჯახის წევრების სახელები;

3.3. იცის თავისი ჯგუფის განთავსების ადგილი;

4. უსაფრთხოების წესები

4.1. მას აქვს ელემენტარული იდეები ბუნებაში უსაფრთხო ქცევის წესების შესახებ, გზაზე იცნობს გარკვეული ტიპის მანქანებს;

4.2. იცნობს ობიექტურ სამყაროს და წესებს. უსაფრთხოდ თამაშობს წყალსა და ქვიშაში (არ სვამს წყალს, არ ისვრის ქვიშას);

დონის შეფასება: მაღალი დონე - 18-13 ქულა; საშუალო დონე - 12-6 ქულა; დაბალი დონე - 5-0 ქულა.

**შემეცნებითი განვითარება**

1. შემეცნებითი კვლევითი საქმიანობა

1.1. სენსორული უნარების განვითარება დიდაქტიკური მასალებით თამაშისას;

1.2. შეუძლია შეადაროს, დააჯგუფოს ზომის, ფერის მიხედვით სხვადასხვა საგნები.

2. ბუნების სამყაროს გაცნობიერება

2.1. იცნობს და ასახელებს სათამაშოებს: შინაურ და გარეულ ცხოველებს, მათ შვილებს, ბოსტნეულსა და ხილს;

2.2. აქვს ელემენტარული წარმოდგენა ბუნების სეზონური მოვლენების შესახებ.

3. ელემენტარული მათემატიკური წარმომადგენლობის ფორმირება

3.1. შეუძლია ნავიგაცია საკუთარი სხეულის ნაწილებზე და შენობაში;

3.2. შეუძლია ზრდასრულთა ინსტრუქციებით მოძებნოს დასახელებული ნივთები ფერის, ფორმის, ზომის მიხედვით;

4. სოციალურ სამყაროში საგნების გაცნობიერება

4.1. განაზოგადებს ცნებებს: სათამაშოები, კერძები, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ავეჯი და ა.შ.

4.2. ის აღიარებს და ასახელებს გარკვეულ შრომით საქმიანობებს, იცის სოფლის დასახელებები;

დონის შეფასება: მაღალი დონე - 16-14 ქულა; საშუალო დონე - 13-6 ქულა; დაბალი დონე - 5-0 ქულა.

## **მეტყველების განვითარება**

### 1. მეტყველების განვითარება

- 1.1. სიტყვით აღწერს თავის საქმიანობას თამაშისას;
- 1.2. ზრდასრულთა თხოვნით ამბობს სიტყვებს, ფრაზებს სულ მცირე 2-4 სიტყვით;
- 1.3. პასუხობს მარტივ და რთულ კითხვები ("რა?", "ვინ?", "რა აცვია?", "რა გაუმართლა?", "ვის?", "რა?" "როდის?", "სად?").
- 1.4. აშკარად გამოხატავს იზოლირებულ ხმოვნებს და თანხმოვნებს;

### 2. შესავალი მხატვრული ლიტერატურა

2.1. შეუძლია მოყვეს რა არის გამოხატული სურათზე, სათამაშოზე, ასევე ყველა პირად გამოცდილებასთან დაკავშირებული მოვლენის შესახებ და პასუხობს კითხვებს (ვინ არის?, რა არის ეს? რას აკეთებს?);

2.2. შეუძლია თქვას ლექსი აღმზრდელის დახმარებით და ილაპარაკოს აღმზრდელის მიერ წაკითხული ზღაპრების ფრაზებით;

2.3. იღებს მონაწილეობას ზღაპრების წარმოდგენებში;

2.4. უსმენს ლექსებს, ზღაპრებს, მოკლე სიუჟეტებს ვიზუალური და არავიზუალური თანხლებით.

დონის შეფასება: მაღალი დონე - 16-14 ქულა; საშუალო დონე - 13-6 ქულა; დაბალი დონე - 5-0 ქულა.

## **მხატვრულ-ესთეტიკური განვითარება**

### 1. ხელოვნების შესავალი

1.1. იცნობს ხალხურ სათამაშოებს: დიმკოვო, ბოგოროდსკაია, მატრიოშკა, ვანკა-ვტანკა და სხვა;

### 2. ვიზუალური საქმიანობა

2.1. იცის დანიშნულება: ფანქრების, ფლომასტერების, კალმების, საღებავების, ჯაგრისების, პლასტილინის;

2.2. შეუძლია სხვადასხვა ფორმების ხატვა და გაფერადება ხაზებში;

2.3. იყენებს სხვადასხვა მოდელირების ტექნიკას;

### 3. მუსიკალური საქმიანობა

3.1. სიმღერის დროს ასრულებს ცეკვის მოძრაობებს;

3.2. შეუძლია შეასრულოს მოძრაობები: ხელებით, ფეხებით, გვერდებით ინდივიდუალურად ან წრეში, ასევე იმეორებს დანახულ მოძრაობებს;

3.3. შეუძლია ხმით მიბაძოს მუსიკალურ ინსტრუმენტებს;

3.4. იცნობს ნაცნობ მელოდიებს, აღმზრდელის დახმარებით იმეორებს ფრაზებს სიმღერებიდან;

#### 4. კონსტრუქციული - მოდელის აქტივობა

4.1. განასხვავებს კონსტრუქციების ძირითად ფორმებს (კუბი, აგური, სამკუთხა პრიზი, ფირფიტა, ცილინდრი);

4.2. ზრდასრულის დახმარებით აშენებს მაგალითის მიხედვით კონსტრუქციებს.

დონის შეფასება: მაღალი დონე - 20-15 ქულა; საშუალო დონე - 14-7 ქულა; დაბალი დონე - 6-0 ქულა.

#### **ფიზიკური განვითარება**

##### 1. ჯანსაღი ცხოვრების შესახებ წარმოდგენის შექმნა

1.1. შეუძლია დაასახელოს ორგანოების მნიშვნელობა (ყური - მოსმენა; პირი - ჭამა და სხვა).

##### 2. ფიზიკური კულტურა

2.1. შეუძლია სიარული, სირბილი, ორ ფეხზე ხტომა ადგილზე ისე, რომ სხვა ბავშვებს არ დაეჯახოს;

2.2. ინსტრუქციის მიხედვით შეუძლია მოძრაობის მიმართულებისა და მოძრაობის შეცვლა;

2.3. შეუძლია მიიღოს, გადასცეს, ჩააგდოს, ახტუნაოს ადგილზე ბურთი;

2.4. შეუძლია გაჭიმული თოკის ქვეშ გაძრომა ისე, რომ არ შეეხოს თოკს;

2.5. აქვს სურვილი ითამაშოს ეზოს თამაშები სხვების მიზანმიმართულად.

დონის შეფასება: მაღალი დონე - 12-9 ქულა; საშუალო დონე - 8-5 ქულა; დაბალი დონე - 4-0 ქულა.

რუსეთის ფედერაციის "განათლების შესახებ" კანონისა და სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების მოდელის დებულების თანახმად, საბავშვო ბაღის წინაშე მდგარი ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა "ოჯახთან კომუნიკაცია ბავშვის სრულფასოვანი განვითარების უზრუნველსაყოფად". მშობლებთან კომუნიკაცია

მნიშვნელოვანია, რათა სწორად დაიგეგმოს ბავშვის განვითარებისათვის საჭირო პროგრამა.

არსებული სხვადასხვა კვლევების მიხედვით, აღმზრდელსა და მშობელს შორის კომუნიკაცია ხდება აღმზრდელის მონოლოგით. გამოცდილი პედაგოგები ცდილობენ, რომ მშობლებთან ურთიერთობაში გამოიყენონ კომუნიკაციის თანამედროვე მეთოდები და მშობლებს საშუალებას აძლევენ აქტიურად ჩაერთონ ბავშვის აღზრდაში. მშობლებთან ურთიერთობის ახალ ფორმებში, ხორციელდება პარტნიორობისა და დიალოგის პრინციპი. მშობლებთან კომუნიკაციის ორგანიზების ინფორმაციისა და ანალიტიკური ფორმების ძირითადი ამოცანა არის თითოეული მოსწავლის ოჯახის შესახებ, მისი მშობლების ზოგადი კულტურული დონის შესახებ ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება და გამოყენება.

ოჯახთან მასწავლებლების კომუნიკაციის ორგანიზების შემეცნებითი ფორმები მიზნად ისახავს მშობლებს გააცნოს ბავშვის ასაკისა და ფსიქოლოგიური განვითარების თავისებურებანი. ძირითადად იყენებენ კომუნიკაციის კოლექტიურ ფორმებს როგორებიცაა:

- მშობლებთან შეხვედრები;
- ჯგუფური კონსულტაციები;
- კარგი საქმეების დღეები;
- კონფერენციები, კონსულტაციები, საუბრები;
- მშობლების მონაწილეობით დღესასწაულების მოწყობა;
- საღამოები მშობლებისთვის;
- წრეების მშობლებისთვის;
- თემატური გამოფენები/ღია კარის დღეები;
- ოჯახში სტუმრობა;

აღმზრდელები ცდილობენ ყოველდღიური კომუნიკაცია ჰქონდეთ მშობლებთან, რაც არც ისე ადვილი განსახორციელებელია დღევანდელ რეალობაში. დღეს არსებული კომუნიკაციის ფორმები მშობელსა და აღმზრდელს შორის არის დამყარებული გულწრფელობაზე, ღიაობაზე და მიმართულია ბავშვის განვითარების სრულყოფისკენ. აღმზრდელისა და მშობლის უშუალო და ხშირი კომუნიკაცია ეხმარება ერთის მხრივ

მშობლებს, სწორად შეაფასონ პედაგოგების საქმიანობა, გადახედონ მეთოდებსა და ოჯახური განათლების ტექნიკას. ხოლო, მეორეს მხრივ, ეხმარება აღმზრდელებს სწორად შეაფასონ აღსაზრდელის საჭიროებები და სასწავლო-სააღმზრდელი პროცესი დაგეგმონ ბავშვის საჭიროებების შესაბამისად<sup>10</sup>.

სკოლამდელი განათლების სისტემის განხილვა გვიჩვენებს, რომ რუსეთის ფედერაციულ რესპუბლიკაში დიდი ყურადღება ეთმობა ბავშვის შეფასების სისტემას სკოლამდელი განათლების საფეხურზე. მიუხედავად იმისა, რომ შეფასების ფორმის არჩევანში სკოლამდელი დაწესებულებები არიან თავისუფლები, რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკა მაინც ცდილობს ინდივიდუალური შეფასების სისტემის გარკვეული სახით სტანდარტიზაციას. ბავშვთა ინდივიდუალური განვითარების შეფასების სისტემები და განხორციელების პირობები დამტკიცებულია მუნიციპალიტეტების მიხედვით. ისინი რამდენადმე განსხვავებულია, მაგრამ ძირითადი მიზანი, ფორმები, პროცესები, მეთოდები და ვადები თითქმის ერთნაირია.

## **4.2. სკოლამდელი განათლების საფეხურზე აღსაზრდელის შეფასების პრაქტიკა საფრანგეთში**

საფრანგეთის საგანმანათლებლო სისტემას დიდი ხანია მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო საგანმანათლებლო სისტემის სტატუსი აქვს. საფრანგეთის საგანმანათლებლო სისტემა გამორჩეულია სწავლების ტრადიციული მეთოდებით, მაღალი აკადემიური სტანდარტებითა და მკაცრი დისციპლინით.

2005 წელს განათლების შესახებ აქტებმა უნიფიცირებული სახე მიიღო და თავი მოიყარა დღევანდელი სახით არსებულ „განათლების შესახებ კოდექსში“. „განათლების შესახებ კოდექსი“ არეგულირებს განათლების ყველა საფეხურს. განათლების სისტემა დაყოფილია სამ საფეხურად: **სკოლამდელი განათლება** (2 წლიდან - 6 წლამდე); **სასკოლო**, რომელიც მოიცავს სამ ეტაპს: **პირველი სასკოლო** (6 წლიდან - 11 წლამდე);

<sup>10</sup> [https://xn--ilabbnckbmcl9fb.xn--p1ai/%D1%81%D1%82%D0%B0%D1%82%D1%8C%D0%B8/598677/\(15.03.2019\)](https://xn--ilabbnckbmcl9fb.xn--p1ai/%D1%81%D1%82%D0%B0%D1%82%D1%8C%D0%B8/598677/(15.03.2019))

საშუალო სკოლა/კოლეჯი (11წლიდან -15 წლამდე); უმაღლესი სკოლა (15 წლიდან -18 წლამდე) და უმაღლესი განათლება.<sup>11</sup>

სკოლამდელი განათლება წარმოადგენს საფრანგეთის განათლების სისტემის პირველ ეტაპს, რომელიც არის უფასო მაგრამ არა სავალდებულო. სკოლამდელი განათლება ექვემდებარება ნაციონალურ/ეროვნულ განათლების სამინისტროს, ასევე, ადგილობრივ თვითმართველობას. განათლების სამინისტრო ადგენს ეროვნულ სასწავლო კურიკულუმს, ხოლო ადგილობრივი თვითმართველობა ადგენს და ადასრულებს სტანდარტებს და უზრუნველყოფს სკოლამდელი განათლების დაფინანსებას.

„განათლების შესახებ კოდექსიდან“ სკოლამდელ განათლებას ეხება შემდეგი მუხლები. მუხლი ლ 321-2, სადაც განსაზღვრულია სკოლამდელი განათლების მიზნები. სკოლამდელი განათლების მიზანია ხელი შეუწყოს ბავშვის პიროვნულობის გამოვლიძებას, მათი სენსორული, მოტორული, კოგნიტიური და სოციალური განვითარების სტიმულირებას. სკოლამდელი განათლება ცდილობს განუვითაროს ბავშვს თვითშეფასების მაღალი გრძნობა, რაც ხელს შეუწყობს მის შემდგომ განვითარებას. იგი მიზნად ისახავს თითოეულ ბავშვში განავითაროს სწავლის სურვილი და სწავლისაგან სიამოვნების მიღების უნარი განათლების შემდეგი საფეხურებისათვის. ლ-321-3 მუხლის მიხედვით, სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამა უზრუნველყოფს ისეთი ფუნდამენტური ცოდნის შექმნას, როგორცაა ზეპირი და წერილობითი გამოხატვა, კითხვა, დათვლა. ის ახალისებს შემოქმედებითი აზროვნების, სენსიტიურობის, ფიზიკური და სპორტული უნარების განვითარებას. სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამა გადასცემს ბავშვებს ისტორიულ, გეოგრაფიულ, მეცნიერულ და კულტურულ ელემენტებს. უზრუნველყოფს ბავშვში ადამიანების პატივისცემის სავალდებულოობას მიუხედავად მათი წარმომავლობისა და განსხვავებისა. ოჯახთან ერთად ის უზრუნველყოფს მორალურ და სამოქალაქო განათლებას.<sup>12</sup>

<sup>11</sup> [https://www.expatica.com/fr/living/family/preschool-options-in-france-102785/?fbclid=IwAR11fxVTDMWVadEYEabKtDB0IsaBMXMNd-7nUNmmy\\_2LRL4izHZWx9Xah-8](https://www.expatica.com/fr/living/family/preschool-options-in-france-102785/?fbclid=IwAR11fxVTDMWVadEYEabKtDB0IsaBMXMNd-7nUNmmy_2LRL4izHZWx9Xah-8) (18.03.2019)

<sup>12</sup> [https://www.legifrance.gouv.fr/affichCode.do;jsessionid=12A6DE8E817483A4C8BF039925249B15.tplgfr44s\\_2?cidTexte=LEGITEXT000006071191&dateTexte=20190317&fbclid=IwAR15OatHMHnsbkjbcFh\\_UYzyQb5TC3t\\_ep40eiWndrFp9Gn3yGd3roW7sU](https://www.legifrance.gouv.fr/affichCode.do;jsessionid=12A6DE8E817483A4C8BF039925249B15.tplgfr44s_2?cidTexte=LEGITEXT000006071191&dateTexte=20190317&fbclid=IwAR15OatHMHnsbkjbcFh_UYzyQb5TC3t_ep40eiWndrFp9Gn3yGd3roW7sU) (17.03.2019)

სასწავლო-სააღმზრდელო გეგმა მიზნად ისახავს, მოამზადოს ბავშვი პირველი სასკოლო პერიოდისთვის და მოიცავს სწავლების ყველა ასპექტს: კითხვას, წერას, მათემატიკას და ზოგჯერ უცხო ენასაც კი. სკოლამდელი განათლების დასრულების შემდეგ ბავშვს უნდა შეეძლოს: კომუნიკაცია ბავშვებთან და უფროსებთან; ემოციის გამოხატვა სიტყვიერად და სხეულის ენის მეშვეობით; სიმღერების/ლექსების დამახსოვრება და გაგება; გარემომყოფთა გაგება; თავისის აზრის გამოხატვა და კითხვების დასმა; მარტივი სიტყვების წერა.<sup>13</sup>

მეცნიერები მიიჩნევენ, რომ სკოლამდელ განათლებაში ყველაზე მეტ დროს, ენერგიასა და უნარს მოითხოვს აღსაზრდელთა შეფასება. იგი სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის უწყვეტი, ყოვლისმომცველი და განუყოფელი ნაწილია. შეფასება არის მონაცემთა შეგროვების პროცესი, იმის შესახებ, თუ რა შეუძლია გააკეთოს და როგორ გააკეთოს ისინი ბავშვმა.

საფრანგეთში გამოყოფენ შეფასების შემდეგ ფორმებს: პირდაპირი შეფასება (ტესტები და სკრინინგი), დაკვირვების მექანიზმები (შკალაზე დაყრდნობით შეფასება, მოსანიშნი შეფასების ფორმები) და ნარატიული შეფასება (პორტფოლიო; ამბის თხრობა/ აღწერა).

**პირდაპირი შეფასება** - შეფასება, რომელიც ორიენტირებულია სწავლების კონკრეტულ შედეგებზე, ბავშვის ისეთ ცოდნასა და უნარებზე, რაც არის გაზომვადი და გამოვლენადი.

**დაკვირვების მექანიზმები** - საგნებისა და ამოცანების ნუსხა, რაც მოწმდება სპეციალური თანმიმდევრობით, მაგალითად, შეიძლება შეიცავდეს ისეთ ამოცანებს, როგორებიცაა: „ბავშვს შეუძლია ხუთამდე დათვლა“ ან „ბავშვს შეუძლია დამოუკიდებლად თამაში“.

**ნარატიული შეფასება** - ბავშვის განვითარების აღწერა ნარატივების/ამბების მეშვეობით. ნარატიული შეფასება არის უფრო ინკლუზიური მეთოდი. იგი მოიცავს არა მხოლოდ პროფესიონალის, მასწავლებლის, არამედ ბავშვის ნამუშევარსაც და შესაძლებელია მოიცავდეს მშობლის მხრიდან შეფასებასაც. ეს არის კომბინაცია იმისა, თუ ბავშვმა რა გააკეთა და ისწავლა. მაგალითად: ნახატები და სავარჯიშოები,

<sup>13</sup> ([https://www.expatica.com/fr/living/family/preschool-options-in-france-102785/?fbclid=IwAR11fxVTDMWVadEYEabKtDB0IsaBMXMNd-7nUNmmy\\_2LRL4izHZWx9Xah-8](https://www.expatica.com/fr/living/family/preschool-options-in-france-102785/?fbclid=IwAR11fxVTDMWVadEYEabKtDB0IsaBMXMNd-7nUNmmy_2LRL4izHZWx9Xah-8) (18.03.2019))

მასწავლებლის შეფასება. პორტფოლიო და ამბების წიგნები არის ნარატიული შეფასების მექანიზმები/ფორმები. ნარატიული შეფასება გულისხმობს ბავშვის განვითარების შეფასებას უწყვეტად, მუდმივად მთელი სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის განმავლობაში და ქმნის ბავშვის განვითარების პორტფოლიოს.

აღნიშნული ფორმებიდან, საფრანგეთის სკოლამდელი განათლების სისტემაში ძირითადად გამოიყენება დაკვირვების მექანიზმებიდან მოსანიშნი შეფასების ფორმები და ნარატიული შეფასებიდან პორტფოლიო.<sup>14</sup>

შეფასებისას აღმზრდელები აკვირდებიან ბავშვის წიგნიერების დონეს, ენის ცოდნას, ტექნიკურ-მათემატიკურ აზროვნებას, სოციალურ-ემოციურ უნარებს, ფიზიკურ განვითარებასა და დამოუკიდებლობას. დაკვირვება არის შეფასების ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი სკოლამდელი განათლების შეფასების სისტემაში. დაკვირვება არის შეგროვება და თავმოყრა იმ ინფორმაციისა, რაც ნაჩვენებია, გაგონილია და თქმულია. დროთა განმავლობაში აღმზრდელები სისტემური დაკვირვების შედეგად ქმნიან ბავშვის განვითარების ზუსტ სურათს. ფრთხილი დაკვირვების შედეგად აღმზრდელს შეუძლია აღმოაჩინოს ბავშვის ინტერესები, ძლიერი მხარეები, სწავლის საჭიროებები და სტილი.

დაკვირვებების უმრავლესობა წარიმართება არაფორმალური გზით მაშინ, როდესაც აღმზრდელი და ბავშვი თამაშობენ, მუშაობენ, ურთიერთქმედებენ საბავშვო ბაღში. მიუხედავად იმისა, რომ დაკვირვებების უმეტესობა არის არაფორმალური, მნიშვნელოვანია, რომ აღმზრდელებმა თითოეულ ბავშვზე დაკვირვება დაგეგმონ ინდივიდუალურად და რეგულარულად. მნიშვნელოვანია, რომ აღმზრდელის დაკვირვება აღირიცხებოდეს მინიმუმ კვირაში ერთხელ მაინც. ინფორმაცია, რომელიც დაკვირვების შედეგად მიიღება შესაძლებელია გამოყენებულ იქნას შემდეგნაირად: დაიგეგმოს განვითარებისათვის შესაბამისი პროგრამა; აღიწეროს ბავშვის ზრდა და განვითარება; მიეწოდოს ინფორმაცია და შეფასება ოჯახს და სხვა პროფესიონალებს.

შეფასების ფორმებიდან საფრანგეთის სკოლამდელ განათლებაში ყველაზე დიდი ადგილი უჭირავს პორტფოლიოს. პორტფოლიო არის შეფასების ავთენტური ჩანაწერი,

---

<sup>14</sup> [http://www.oecd.org/education/school/ECCECMN-France.pdf?fbclid=IwAR3Hy4OzrNQDwXf5M5IEHe1E9vfn3sK3N6wBeW6hO-N8TvRgkxmxEUSuvS8\(30.03.2019\)](http://www.oecd.org/education/school/ECCECMN-France.pdf?fbclid=IwAR3Hy4OzrNQDwXf5M5IEHe1E9vfn3sK3N6wBeW6hO-N8TvRgkxmxEUSuvS8(30.03.2019))



რაც ასახავს ბავშვის ზრდასა და განვითარებას. ეს არის თითოეული ბავშვის მონაცემის ორგანიზებული შენახვა უწყვეტად, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. პორტფოლიო შეიძლება შეიცავდეს შემდეგს: ბავშვის ხელოვნების პროექტებს; პორტრეტებს; პრეზენტაციებს; ნახატებს; ნაწერების ნიმუშებს; ბავშვისთვის წაკითხული წიგნების სიას; შევსებულ მოსანიშნი შეფასების ფორმებს; ფოტოებს და სხვა ისეთ ინფორმაციას ბავშვზე, რაც მნიშვნელოვანია აღმზრდელისთვის შემდგომი გადაწყვეტილებების მიღებისათვის. პორტფოლიო უფრო ეფექტურად გამოსაყენებელი იქნება, თუ ყველაფერი ქრონოლოგიურად დათარიღებული და ორგანიზებულია.

საფრანგეთში საბავშვო ბაღის აღმზრდელები აღიარებენ, რომ მშობლები არიან ბავშვის პირველი განმანათლებლები და ისინი ცდილობენ სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში მჭიდროდ ითანამშრომლონ მშობლებთან. მშობლებთან ღია კომუნიკაცია აუცილებელია მთელი წლის განმავლობაში. აღმზრდელი უზიარებს მშობლებს ინფორმაციას ბავშვის პროგრესის შესახებ ანგარიშის მეშვეობით კონფერენციაზე და პორტფოლიოების საშუალებით.

აღმზრდელი პროგრესის შესახებ ანგარიშს მშობელს აწვდის წელიწადში ორ-სამჯერ. იმისათვის, რომ ბავშვის სრული ზრდა-განვითარება სისტემურად და ნათლად იყოს წარმოდგენილი, ანგარიში დაყოფილია შემდეგ სფეროებად:

- სოციალურ-ემოციური, ფიზიკური;
- შემოქმედებითი;
- ინტელექტუალური;
- ადრეული მათემატიკური აზროვნება;
- ადრეული ლიტერატურა და ენა.

კონფერენცია აწვდის ინფორმაციას ბავშვის შესახებ როგორც ოჯახს, ასევე სკოლამდელი დაწესებულების სხვა აღმზრდელს. ამ სესიების განმავლობაში აღმზრდელი აცნობს ინფორმაციას, რაც შეაგროვა მუდმივი დაკვირვების, საუბრების, მოსანიშნი შეფასების ფორმებისა და ნიმუშეწერების საფუძველზე. აღმზრდელი ხაზს უსვამს ბავშვის ძლიერ მხარეებს და პროგრესს ისევე, როგორც იმ სფეროებს, სადაც ბავშვს სჭირდება უფრო მეტი მხარდაჭერა. მნიშვნელოვანია, აღნიშნულ კონფერენციებზე აღმზრდელებმა განიხილონ სტრატეგიები და გეგმები, რაც

მიმართულია თითოეული ბავშვის საჭიროებებზე. კონფერენციაზე შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგი სახის ჩანაწერები: „ჯეიმსი აშენებდა კონსტრუქციებს მთელი დღის განმავლობაში. წლის დასაწყისში მან შექმნა თავისი გეგმა, თავისი მასალების შეგროვებით მოინიშნა ხალიჩაზე თავისთვის ადგილი და მარტო აშენებდა კონსტრუქციებს. ის ბრაზდებოდა, როდესაც სხვა ბავშვები ცდილობენ მის სამშენებლო პროცესში ჩართვას. ჯეიმსი სწავლობს, როგორ გამოხატოს, როცა მას სჭირდება პირადი სივრცე და როცა სხვებს შეუძლიათ ან არ შეუძლიათ ჩერთონ მის პროექტში. ჩვენ ვასწავლით ჯეიმსს, რომ სხვა ბავშვების რჩევებს შეუძლია უპასუხოს შემდეგი ფრაზებით: „მადლობა რჩევისთვის“, ან „მომწონს შენი იდეა“, ან „ამაზე არ მიფიქრია“, ან „არა მადლობა“. ახლა ჯეიმსი უფრო ღიაა სხვა ბავშვების იდეების მიმართ და შეიძლება კონსულტაციები გაიაროს მათთან თავისი გეგმის შესახებ“.<sup>15</sup>

შეფასებისას აღმზრდელებმა უნდა აღიარონ და გაითავისონ, რომ ბაღში მისული ყველა ბავშვი არის განსხვავებული და მრავალფეროვანი გამოცდილებების, რაც დიდ გავლენას ახდენს ბავშვის ზრდასა და განვითარებაზე. კურსკულუმი უნდა შეიცავს სწავლებისა და შეფასების ისეთ ფართო არჩევანს, რაც დაეხმარება აღმზრდელებს ყველა ბავშვის საჭიროებების დაკმაყოფილებაში.

### **4.3. სკოლამდელი განათლების საფეხურზე აღსაზრდელის შეფასების პრაქტიკა ამერიკის შეერთებულ შტატებში**

მესამე ქვეყანა, რომელსაც ანალიზი გავუკეთეთ საკვლევი თემის ფარგლებში არის ამერიკის შეერთებული შტატები. ამერიკის შეერთებული შტატების განათლების სისტემა განსხვავდება სხვა ქვეყნებისაგან. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის ფედერალური მთავრობის წილი ეროვნული განათლების ბიუჯეტში არის 10 (ათი) პროცენტი, განათლება, პირველ რიგში არის შტატებისა და ადგილობრივი ხელისუფლების პასუხისმგებლობა. ყველა შტატს აქვს განათლების თავისი დეპარტამენტი და შესაბამისი კანონმდებლობა, რაც არეგულირებს ფინანსებს, პერსონალის დაქირავებას, ბავშვების მოსწრებისა და სასწავლო გეგმის საკითხებს. ასევე,

<sup>15</sup> [http://www.gov.pe.ca/photos/original/edu\\_fr\\_immersio.pdf?fbclid=IwAR1W69Ar32SxS6qy0NcCR\\_dBsegEY\\_w-T0yvaUEZkfNhOoKDFyszjdcPHWg](http://www.gov.pe.ca/photos/original/edu_fr_immersio.pdf?fbclid=IwAR1W69Ar32SxS6qy0NcCR_dBsegEY_w-T0yvaUEZkfNhOoKDFyszjdcPHWg) (29.03.2019)

შტატები განსაზღვრავენ სავალდებულო განათლების ხანგრძლივობასაც (შტატების უმეტესობაში განათლება სავალდებულოა 5-6 წლიდან 16 წლამდე, ზოგიერთში კი 18 წლამდე).

განათლების საფეხურები შტატების მიხედვით განსხვავებულია, მაგრამ სტანდარტულ მოდელში გამოყოფენ შემდეგ საფეხურებს: სკოლამდელი განათლება; საწყისი სასკოლო განათლება; საშუალო განათლება და უმაღლესი სასკოლო განათლება.

განათლების პირველ საფეხურს წარმოადგენს სკოლამდელი განათლება. შტატების მიხედვით განსხვავდება სკოლამდელი განათლების შესახებ სტანდარტები. ძირითადად, სტანდარტში წარმოდგენილია თუ როგორი უნდა იყოს სახლსა და სკოლამდელ დაწესებულებას შორის დამოკიდებულება, სასწავლო გარემოს, შეფასების პროცესი და ასევე განვითარების ყველა მიმართულების (სოციალურ-ემოციური, ხელოვნება, ჯანმრთელობა, უსაფრთხოება, ფიზიკური აღზრდა, ინგლისური ენა, მათემატიკა, ხელოვნება, სწავლის მიმართ დამოკიდებულება, ცხოვრებისეული უნარები, მსოფლიო ენები, ტექნოლოგია) ინდიკატორებს, რომელებსაც უნდა მიაღწიოს ბავშვმა სკოლამდელი განათლების მიღების პერიოდში.

სკოლამდელი განათლება ამერიკის შეერთებულ შტატებში ხორციელდება სკოლამდელ დაწესებულებებში: ბაგა ბაღებში, საბავშვო ბაღებში, განმავითარებელ და მოსამზადებელ სკოლამდელ ცენტრებში. სკოლამდელი დაწესებულება არის პირველი ფორმალური, აკადემიური სასწავლო-საადამიროდელი დაწესებულება. სკოლამდელი განათლება იწყება სამი წლიდან. სკოლამდელი განათლება ფოკუსირებულია ბავშვის სოციალურ, ფიზიკურ, ემოციურ და კოგნიტიურ განვითარებაზე. სკოლამდელი განათლება არაა სავალდებულო და იგი არის ფასიანი<sup>16</sup>.

ამერიკელებს სურთ იცოდნენ ყველაფერი საკუთარი ბავშვების კეთილდღეობაზე. მშობლებს სურთ იცოდნენ არიან თუ არა მზად მათი შვილები სკოლისთვის. მასწავლებლებს და განათლების ექსპერტებს აინტერესებთ, არის თუ არა მათი პროგრამები ეფექტური და აწვდიან თუ არა ისინი ბავშვებს სწორ პროგრამებსა და სერვისს. პოლიტიკოსებმა უნდა იცოდნენ, თუ რომელი პროგრამის პოლიტიკა და ხარჯები ეხმარება ბავშვებს განვითარებაში და რამდენად ეფექტურია ისინი დროთა

<sup>16</sup> [https://iss.umn.edu/publications/USEducation/2.pdf?fbclid=IwAR0qSasJhCx711-NA3kTO0knkzh\\_60XM-moo77iHi3j9t5pzePNOV61I8k\\_01.04.2019](https://iss.umn.edu/publications/USEducation/2.pdf?fbclid=IwAR0qSasJhCx711-NA3kTO0knkzh_60XM-moo77iHi3j9t5pzePNOV61I8k_01.04.2019)

განმავლობაში. აქედან გამომდინარე, ამერიკის შეერთებულ შტატებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სკოლამდელი განათლების საფეხურზე შეფასებას.

სკოლამდელი განათლების საფეხურზე ბავშვის შეფასება მნიშვნელოვანია როგორც თითოეული ბავშვის სწავლის ხელშეწყობისათვის, ასევე რაიონულ და ეროვნულ დონეზე, მომსახურების და საგანმანათლებლო პროგრამების გასაუმჯობესებლად.

სკოლამდელი შეფასება შეიძლება იყოს საუკეთესო პრაქტიკა სასწავლო პროგრამის შესაცვლელად ან ახლის შესაქმნელად. მაგალითად, შეფასებით შეიძლება აღმოჩნდეს, რომ კონკრეტულ კლასში ბავშვებს ფანქრის სწორად ჭერის უნარი არ აქვთ განვითარებული. ამის შედეგად მასწავლებელს შეუძლია ბავშვები ჩართოს წერისა და ხატვის მეტ აქტივობაში. სკოლამდელი შეფასება მასწავლებლებს შესაძლებლობას აძლევთ, მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილება, თუ როგორ შესთავაზონ ბავშვებს სწავლება იმის გათვალისწინებით, თუ განვითარების რა ეტაპზე არიან ბავშვები. ასევე, მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს სპეციალური საჭიროებების ბავშვთა იდენტიფიცირებისათვის, რომ ადრეულ ეტაპზე აღმოუჩინონ სპეციალისტის დახმარება და მიაწოდონ დამატებითი სერვისი, რაც ბავშვისთვის არის საჭირო.

სკოლამდელი შეფასება ყურადღებას აქცევს განვითარების ყველა ასპექტს ემოციურს, სოციალურს, ფიზიკურს, ენობრივ და კოგნიტიურ განვითარებას. ზოგიერთი შეფასება ბავშვის სწავლის მიმართ დამოკიდებულებასაც კი აქცევს ყურადღებას. მაგალითად, ბავშვი რამდენად ცნობისმოყვარეა და აღფრთოვანებული სწავლისა და სწავლის ფორმის მიმართ.

ბავშვის **სოციალური და ემოციური** განვითარების ასპექტები მოიცავს ბავშვის უნარს, რომ გაიაზროს და გამოხატოს თავისი გრძნობები. ასევე, ჩაერთოს თანატოლებთან ურთიერთობებში, დაამყაროს მეგობრული ურთიერთობები და მოაგვაროს კონფლიქტური ურთიერთობები.

**ენობრივი** განვითარების მაგალითია, ბავშვს როგორ შეუძლია მოსმენა და საუბარი.

**ფიზიკური** განვითარების მაგალითი მოიცავს ისეთ მოტორული უნარების გამოვლინებას, როგორცაა ფანქრისა და მაკრატლის ჭერა და გამოყენება (წვრილი მოტორიკა). ცოცვა, სირბილი, ველოსოპეტის ტარება (მსხვილი მოტორიკა).

კოგნიტიური განვითარების მაგალითებია ციფრების, ფერების, ფორმების ამოცნობა და რომელიმე ნიშნის მიხედვით დალაგება<sup>17</sup>.

ბავშვის სწავლისა და განვითარების შეფასებამ ახალი მნიშვნელობა შეიძინა იმდენად, რამდენადაც სკოლამდელ განათლებაში ჩადებული ინვესტიციები იზრდება. როგორც სახელმწიფო, ასევე, კერძო ორგანიზაციები აქტიურად ახორციელებენ, ნერგავენ ბავშვის საჭიროებებზე მორგებულ პროგრამებს. ამ პროგრამების მიზანია გაზარდოს ბავშვებისათვის ოპტიმალური განვითარების შანსები სხვადასხვა გზით, რათა დააკმაყოფილოს თითოეული ბავშვის საჭიროებები. ბავშვების შეფასება მნიშვნელოვანია ორი მიმართულებით. 1. მხარი დაუჭიროს ყოველი ბავშვის სწავლასა და განვითარებას და 2. უზრუნველყოს ინფორმაციის მოპოვება, როგორც ოლქის ისე შტატის და ეროვნულ დონეზე იმისათვის რომ საგანმანათლებლო პროგრამების სერვისი განვითარდეს.

ბავშვის შეფასებისას სწავლება და შეფასება ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული პროცესებია. იმის მუდმივი შეფასება, თუ რა იცის ბავშვმა და რისი გაკეთება შეუძლია, ეხმარება მშობლებსა და მასწავლებლებს, როგორ გაუმკლავდნენ სირთულეებს და დაეხმარონ ბავშვს იმ მიმართულებით განვითარებაში, რაც მას სჭირდება. ადრეული სწავლების ბუნებიდან გამომდინარე, ადრეულ ასაკში ბავშვის შეფასება უფრო რთულია, ვიდრე მოზრდილებისა და სტუდენტებისა<sup>18</sup>.

ამერიკის შეერთებული შტატების უმეტეს შტატში სკოლამდელი განათლების ეროვნულ სასწავლო მიზნებში შეფასების სისტემა ემყარება შემდეგ პრინციპებს:

- ბავშვებისთვის სარგებლის მომტანი;
- კონკრეტულ მიზანზე ორიენტირებული;
- ვალიდური, სამართლიანი და სანდო;
- ასაკის შესაფერისი, როგორც კონტექსტურად ისე მეთოდოლოგიურად; შეფასების პროცესში აღიარებს მშობელს, როგორც ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროს.

შეფასება უნდა განხორციელდეს, ინდივიდუალურად თითოეულ ბავშვზე მასწავლებლის უშუალო დაკვირვებით და იგი უნდა ატარებდეს სისტემურ ხასიათს.

<sup>17</sup> [https://www.mass.gov/doc/early-childhood-assessment-presentation-for-administrators\\_01.04.2019](https://www.mass.gov/doc/early-childhood-assessment-presentation-for-administrators_01.04.2019)

<sup>18</sup> [https://www.verywellfamily.com/preschool-assessment-2764976\\_01.04.2019](https://www.verywellfamily.com/preschool-assessment-2764976_01.04.2019)

თუმცა, ექსპერტები აღნიშნავენ, რომ სკოლამდელი ასაკის ბავშვთა შეფასება იკავებს იმაზე უფრო მეტ დროს, ვიდრე გამოყოფილია მისთვის (Neuman, Copple, and Bredekamp, 2000).

მეთოდების მიხედვით შეფასება შეიძლება იყოს ფორმალური და არაფორმალური. ძირითადად გამოყოფენ შეფასების შემდეგ სახეებს:

### **1. დაკვირვება და მინიშნებების ჩაწერა**

დაკვირვებისას კარგად ჩაწერილი მინიშნებები არის მნიშვნელოვანი შეფასების სისტემაში. ბავშვის ქცევასა და უნარებზე დაკვირვება მასწავლებელს აწვდის საჭირო ინფორმაციას ბავშვის შესაძლებლობებზე. მაგალითად, იმისთვის, რომ მასწავლებელმა შეაფასოს მეტყველების უნარები, უმჯობესია, მოაყოლოს ბავშვს თავის თავს გადამხდარი ისტორია ვიდრე უცნობი დაზეპირებული მოთხრობა.

შესაძლებელია ყველა ბავშვმა ერთდროულად ვერ მიაღწიოს განვითარების განსაზღვრულ ეტაპს გარკვეული დროის მონაკვეთში. აქედან გამომდინარე, ყოველდღიური დაკვირვება მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ ბავშვის საჭიროებები, განვითარებისა თუ ჯანმრთელობის სხვადასხვა პრობლემები ადრეულ ეტაპზე იყოს აღმოჩენილი.

### **2. მოკლე ჩანაწერები**

იგი გულისხმობს მოკლე, ფაქტებზე დაყრდნობით გაკეთებულ ჩანაწერებს ბავშვების ქცევიდან გამომდინარე. ჩანაწერი უნდა იყოს ზედმიწევნით ობიექტური და შეიცავდეს რამდენიმე წინადადებას.

### **3. ვრცელი ჩანაწერები**

ვრცელი ჩანაწერები ჰგავს მოკლე ჩანაწერებს, თუმცა უფრო მეტი ინფორმაციის მომცველია ბავშვის ქცევის შესახებ. დამკვირვებელი ობიექტურად აღწერს ბავშვის ქცევას, მათ შორის საუბარს, დროის გარკვეულ მონაკვეთში მაგალითად, ნახევარი საათის განმავლობაში. ვრცელი ჩანაწერები ძირითადად გამოიყენება სოციალური უნარების განვითარების შესაფასებლად.

### **4. პორტფოლიოები**

პორტფოლიო არის ინფორმაციის შეგროვების მოსახერხებელი მეთოდი, რომელიც მოიცავს ბავშვის მიერ შესრულებულ სამუშაოს. ნამუშევრების მიხედვით შესაძლებელი

ხდება განვსაზღვროთ ბავშვის განვითარების დონე სწავლების სხვადასხვა ეტაპზე. ამ ტიპის შეფასება ნათლად წარმოაჩენს ბავშვი ძლიერ მხარეებს, ცოდნასა და უნარებს.

პორტფოლიოს შექმნისას მნიშვნელოვანია მასწავლებელმა გაითვალისწინოს შემდეგი:

- განსაზღვროს განვითარების ის მიმართულება, რომელიც უნდა შეაფასოს;
- განსაზღვროს ის დოკუმენტები, რომლებიც დაეხმარება შეფასებაში. მაგალითად: ნახატები, სხვა ხელოვნების ნიმუშები, ფოტოები, ბავშვის მოყოლილი ისტორიები, ბავშვის წიგნების არჩევანი, აუდიო ჩანაწერები, მოსანიშნი შეფასების ფორმები.
- რეგულარულად შექმნას ბავშვის ნამუშევრების კოლექცია;
- ჰქონდეს ინფორმაციის შენახვის მოწესრიგებული სისტემა;
- კოლეგებთან განიხილოს კონკრეტული მასალები იმისთვის, რომ მოისმინოს განსხვავებული პერსპექტივები ბავშვის განვითარების შესახებ;
- ბავშვის ნამუშევრები დააკავშიროს სასწავლო მიზნებთან;
- დარწმუნდეს, რომ მის მიერ მოპოვებული ინფორმაცია სრულ სურათს იძლევა;

## **5. სახლში დაკვირვება**

მშობლები უნდა აკვირდებოდნენ იმ ქცევასა და უნარებს, რომლებსაც ბავშვები ავლენენ მხოლოდ სახლში. სახლში შეგროვებულ ინფორმაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბავშვის საჭიროებების გამოსავლენად და შემდგომი სასწავლო პროცესის წარსამართად.

## **6. განმავითარებელი დაკვირვება**

განმავითარებელი დაკვირვება არის მოკლევადიანი (15-20 წუთი) და ფოკუსირებულია ბავშვის ასაკის შესაბამის უნარებსა და ქცევაზე. ამ ტიპის შეფასება ეხმარება აღმზრდელს გამოავლინოს სჭირდება თუ არა ბავშვის დამატებითი დიაგნოსტიკური შეფასება.

## **7. დიაგნოსტიკური შეფასება**

დიაგნოსტიკური შეფასება ადგენს ბავშვის ძლიერ და სუსტ მხარეებს და რეკომენდაციას უწევს აღმზრდელს გასატარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით. იგი არ არის ორიენტირებული ცოდნაზე.

## 8. სტანდარტული შეფასება

სტანდარტული შეფასება ტარდება ჯგუფში და იძლევა ინფორმაციას, რომელიც შესაძლოა გამოყენებულ იქნას რაოდენობრივი მონაცემებს შესაგროვებლად. იგი პირდაპირ ზომავს ბავშვის მიერ მიღწეულ შედეგებს და ექვემდებარება მკაცრად განსაზღვრულ პროტოკოლს, რომელსაც განსაზღვრავს ცალ-ცალკე ყველა შტატის განათლებისა და ფსიქოლოგიის ეროვნული ცენტრი<sup>19</sup>.

შეფასების ფორმის არჩევაში აღმზრდელები არიან თავისუფალნი. მათ შეუძლიათ აირჩიონ შეფასების ის ფორმა, რომელიც მათთვის უფრო მოსახერხებელია, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა მშობლებს აცნობოს შეფასებისა და შედეგების შესახებ და აუხსნას მათ, რას ნიშნავს ეს შედეგები. როგორც წესი, შედეგები განიხილება მშობლისა და მასწავლებლის ინდივიდუალური შეხვედრებისას.

სკოლამდელი განათლების შეფასების სერვისის ბოლოდროინდელი კვლევის თანახმად (ETS), სკოლამდელი განათლების პროგრამების უმეტესობა შეფასების ერთზე მეტ ფორმას იყენებს. ტრადიციული ფორმალური შეფასება გამოიყენება ოთხ შტატში. ცხრამეტი შტატი იყენებს მოსანიშნ შეფასების ფორმებს და 1-5 ან 1-10 ბალიან შეფასების სისტემას. რვა შტატი იყენებს კომბინირებულ სისტემას, როგორც ფორმალური შეფასების ფორმებს, ისე, არაფორმალურ შეფასების ფორმებს. მხოლოდ ერთი შტატის პროგრამა იყენებს ბავშვების შეფასებისას მხოლოდ პორტფოლიოს.

ამ კვლევის ავტორები დაობენ იმის შესახებ, თუ რომელი შეფასება გვაძლევს სრულ ინფორმაციას ბავშვის განვითარების შესახებ და რომელია უკეთესი ფორმალური თუ არაფორმალური შეფასების ფორმები. მიუხედავად იმისა, რომ ფორმალური შეფასება შეიძლება გამოსაყენებელი იყოს ტენდენციების დადგენისთვის და შეზღუდული შესაძლებლობების აღმოჩენისათვის, იგი არ იძლევა ბავშვის უნარების შესახებ სრულ სურათს. ამის საპირისპიროდ არაფორმალური მეთოდები შესაძლებლობას გვაძლევს გავიგოთ რას და როგორ აკეთებს ბავშვი მთელი დღის განმავლობაში. ამას გარდა, შეგროვებული ინფორმაცია შესაძლებლობას აძლევს მასწავლებელს დააფიქსიროს განვითარების სრული დიაპაზონი. პორტფოლიოები ან

<sup>19</sup> [http://resourcesforearlylearning.org/fm/early-childhood-assessment/?fbclid=IwAR1Ypt1R3iCRtp3giB9q7uF7os27e4wiV4o3GqyXjBZYt0USIYPNd\\_z5-10 \(05.04.2019\)](http://resourcesforearlylearning.org/fm/early-childhood-assessment/?fbclid=IwAR1Ypt1R3iCRtp3giB9q7uF7os27e4wiV4o3GqyXjBZYt0USIYPNd_z5-10 (05.04.2019))



დაკვირვების შედეგად გაკეთებული ჩანაწერები იძლევა რეალურ სურათს ბავშვის ცოდნისა და უნარების შესახებ<sup>20</sup>.

შტატების უმრავლესობაში საბავშვო ბაღში შესვლამდე ბავშვს აფასებენ, რათა გაიგონ რა იცის და რისი გაკეთება შეუძლია. გამოიყენება სხვადასხვა სახის ფორმალური შეფასების ფორმა, რომელიც აფასებს ბავშვის კოგნიტიურ, სოციალურ-ემოციურ, ენისა და ფიზიკურ უნარებს. შეფასების პირველი ეტაპი გრძელდება დაახლოებით ორი თვე, ბავშვის ბაღში შესვლამდე. შეფასების შედეგების მიხედვით ანაწილებენ ბავშვებს სკოლამდელი განათლების სხვადასხვა საფეხურზე მათი მზაობის მიხედვით<sup>21</sup>.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, შეფასების ერთ-ერთ ფორმად ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოიყენება სახლში დაკვირვება. ეს ფაქტი ხაზს უსმავამს იმ გარემოებას თუ რამდენად დიდია მშობლების როლი ბავშვების შეფასებაში. მშობლებს შეუძლიათ დაეხმარონ მასწავლებლებს თავისი ბავშვის ზრდისა და განვითარების შეფასებაში, თუ მასწავლებელთან დაამყარებენ უკუკავშირს იმის შესახებ, თუ რას აკეთებენ მათი ბავშვები სახლში.

მასწავლებელსა და მშობელს შორის კარგი ორმხრივი კომუნიკაცია აუცილებელია ბავშვის წარმატებისათვის. რომ რაც უფრო ხშირად ცვლიან მშობლები და მასწავლებლები საჭირო ინფორმაციას მით უფრო კარგად არიან ისინი აღჭურვილნი საჭირო ინფორმაციით, რომელიც დაეხმარება მათ ბავშვისთვის საჭირო სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის წარმართვაში. მასწავლებელსა და მშობელს შორის კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმა არსებობს. ყველაზე ხშირად გამოიყენება შემდეგი ფორმები: მშობელთა კონფერენცია, საბავშვო ბაღის საბჭოები, ყოველკვირეულად ან თვიურად ბავშვის ნამუშევრების კრებულის გაგზავნა მშობლისათვის, სატელეფონო ზარები, ელექტრონული ფოსტა და საბავშვო ბაღის საიტი<sup>22</sup>.

ამერიკელი მეცნიერები თვლიან, რომ ოცდამეერთე საუკუნეში, როდესაც შეფასების ეფექტურობასა და ინფორმაციის შეგროვებაზე საუბარი, აუცილებელია გავარკვიოთ ის, თუ რა სარგებლის მოტანა შეუძლია თანამედროვე ტექნოლოგიებს

<sup>20</sup> [http://www.shankerinstitute.org/blog/challenges-pre-k-assessment \(08.04.2019](http://www.shankerinstitute.org/blog/challenges-pre-k-assessment (08.04.2019)

<sup>21</sup> [https://files.eric.ed.gov/fulltext/ED569203.pdf?fbclid=IwAR1L7jY1j-IxH6Dl4RES9cLWt2FVLplCNd6jNXgb\\_Q7bkJSNfALyF3hwmsSQ \(08.04.2019](https://files.eric.ed.gov/fulltext/ED569203.pdf?fbclid=IwAR1L7jY1j-IxH6Dl4RES9cLWt2FVLplCNd6jNXgb_Q7bkJSNfALyF3hwmsSQ (08.04.2019)

<sup>22</sup> [http://www.readingrockets.org/article/building-parent-teacher-relationships \(06.04.2019](http://www.readingrockets.org/article/building-parent-teacher-relationships (06.04.2019)

იმისთვის, რომ მშობლები უფრო აქტიურად იყვნენ ჩართულები ბავშვის შეფასების პროცესში. არაფორმალური შეფასების ფორმების გამოყენება საჭიროებს ფოტოებისა და ვიდეოს გადაღებას. მეცნიერები თვლიან, რომ სხვადასხვა სახის აპლიკაციები შესაძლებელია გამოვიყენოთ ამ მიზნებისთვის, კერძოდ, შეიქმნას ისეთი აპლიკაცია, რომელიც შეინახავს სურათებს, ვიდეოებს სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის აღსაწერად, ასევე, ბავშვის ნამუშევრებს მასწავლებლის კომენტარებთან ერთად და ეტაპობრივად გაუზიარებს ამ ინფორმაციას მშობლებს. ბავშვზე ინფორმაციის შეგროვება ტექნოლოგიის გამოყენებით თუ მის გარეშე წარმოშობს ეთიკურ საკითხებს, რომლებიც თავიდანვე უნდა იყოს განხილული მშობლებთან ან/და ბავშვის კანონიერ წარმომადგენლებთან<sup>23</sup>.

ამერიკის შეერთებული შტატების სტანდარტების შესაბამისად, შეფასების პროცესში დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს იმ გარემოებას, როგორ აფასებს ბავშვი საკუთარ თავს და შესაძლებლობებს. ამისთვის მნიშვნელოვანია მასწავლებელი დააკვირდეს და დააფიქსიროს, რას ამბობს და აკეთებს ბავშვი. მაგალითად, ისეთი ბავშვის ნათქვამი ჩვეულებრივი წინადადება, რომ „წინა დაბადების დღეზე უფრო პატარა იყო ვიდრე ახლა“ ნიშნავს იმას, რომ მას შეუძლია შეაფასოს რისი გაკეთება შეუძლია და როგორ იცვლება. აუცილებელია, რომ შეფასებამდე ვკითხოთ ბავშვს საკუთარი თავის შესახებ, რის შედეგადაც თავად გეტყვის, რისი გაკეთება მოსწონს და რისი არა. საჭიროა შევაფასებინოთ ბავშვს თავის ნამუშევარი. დაიხმარეთ იმის გადაწყვეტაში, თუ რომელი ნამუშევარი ჩადოთ პორტფოლიოში და დააფასეთ მისი არჩევანი (Preschool Teaching and Learning Standards, 2014)<sup>24</sup>.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში სხვადასხვა მიზნის შესაბამისად გამოიყენება როგორც ფორმალური, ისე, არაფორმალური შეფასების მეთოდები. არ არის განსაზღვრული შეფასების ერთი ფორმა, რომელიც გამოიყენება ყველა საბავშვო ბაღში. ბავშვების შეფასება მნიშვნელოვანია ორი მიმართულებით: მხარი დაუჭიროს ყოველი ბავშვის სწავლასა და განვითარებას და უზრუნველყოს ინფორმაცია როგორც ოლქის, ისე შტატისა და ეროვნულ დონეზე იმისათვის, რომ საგანმანათლებლო პროგრამების

<sup>23</sup> [http://www.shankerinstitute.org/blog/challenges-pre-k-assessment \(08.04.2019\)](http://www.shankerinstitute.org/blog/challenges-pre-k-assessment (08.04.2019))

<sup>24</sup> [https://www.nj.gov/education/ece/guide/standards.pdf \(01.04.2019\)](https://www.nj.gov/education/ece/guide/standards.pdf (01.04.2019))

სერვისი განვითარდეს. ყველა შტატი და საბავშვო ბაღი თავისი მიზნებიდან გამომდინარე ადგენს შეფასების ფორმებს, რომელიც არის ინდივიდუალური ყველა ბავშვისთვის. შეფასების პროცესში მათთვის მნიშვნელოვანია როგორც მშობლის ჩართულობა, ასევე, თვითონ ბავშვის დამოკიდებულება საკუთარი თავის მიმართ.

წარმოდგენილი ქვეყნების მაგალითის საფუძველზე უპირველეს ყოვლისა შეიძლება ითქვას, რომ სამივე ქვეყნის შემთხვევაში სკოლამდელი განათლების საფეხურზე აღსაზრდელის შეფასება წარმოადგენს სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის განუყოფელ ნაწილს. აღსაზრდელის შეფასების მთავარი მიზანია: აღსაზრდელის სწავლის ხელშეწყობა; აღსაზრდელის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა; სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში გამოყენებული მეთოდის ეფექტიანობის შემოწმება; სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამების ეფექტიანობის განსაზღვრა და სრულყოფა; მშობლების ჩართვა აღსაზრდელის სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში და მათთან კომუნიკაციის გამყარება.

შეფასებისას გამოიყენებენ როგორც შეფასების ფორმალურ მეთოდებს, ასევე, შეფასების არაფორმალურ მეთოდებს. უპირატესობას ანიჭებენ არაფორმალურ მეთოდებს, კერძოდ, პორტფოლიოს და დაკვირვებას, რადგან აღნიშნული მეთოდები შესაძლებლობას გვაძლევს გავიგოთ რას და როგორ აკეთებს ბავშვი მთელი დღის განმავლობაში. გარდა ამისა, შეგროვებული ინფორმაცია შესაძლებლობას აძლევს მასწავლებელს დააფიქსიროს განვითარების სრული დიაპაზონი. პორტფოლიოები ან დაკვირვების შედეგად გაკეთებული ჩანაწერები იძლევა რეალურ სურათს ბავშვის ცოდნისა და უნარების შესახებ.

ასევე, აღსანიშნავია, რომ სკოლამდელი განათლების საფეხურზე სამივე ქვეყანა აღიარებს მშობლის როლს ბავშვის შეფასებისას. მასწავლებლებსა და მშობლებს შორის ხშირი კომუნიკაცია აძლევს მასწავლებლებს ინფორმაციას ბავშვის საჭიროებების შესახებ. ყურადღებას ამახვილებენ იმ ფაქტზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სკოლამდელი განათლების საფეხურზე აღსაზრდელის შეფასება და შეფასების პროცესში როგორც მშობლის, ასევე, თვით აღსაზრდელის მონაწილეობა. ასევე, გვაძლევს იმის შესაძლებლობას, რომ გავიაზროთ რამდენად დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია ოცდამეერთე საუკუნეში თანამედროვე ტექნოლოგიებს.

ვფიქრობთ, რომ თეორიული კვლევის ნაწილი გახდება საფუძველი ემპირიული კვლევისათვის. ამ ქვეყნების გამოცდილება დაგვეხმარება კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის გააზრებასა და სწორი აქცენტების დასმაში.

## კვლევითი ნაწილი

სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში კვლევა რამდენიმე ეტაპად განხორციელდა, პირველ რიგში ჩატარდა თეორიული კვლევა, რომლის ფარგლებშიც გაანალიზდა აღსაზრდელთა შეფასების მეთოდები და ფორმები სკოლამდელ განათლებაში. ასევე, დოკუმენტალურად გაანალიზდა დღეს ბალებში არსებული „აღსაზრდელთა შეფასების ფორმები“ (შემდგომში - შეფასების ფორმა).

მეორე ეტაპზე, ჩატარდა ემპირიული კვლევა, ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუ, რომლის მიზანიც იყო გამოველინა სკოლამდელ განათლებაში დღეს არსებული შეფასების გამოყენების მეთოდები და სიხშირე. გამომდინარე იქიდან, რომ თემას აქვს ძიებითი ხასიათი არ ვეყრდნობით კონკრეტულ ჰიპოთეზას და ვფიქრობთ, რომ აღნიშნული შემდგომი მუშაობის საკითხს წარმოადგენს.

### კვლევის მეთოდები

მონაცემების მოსაპოვებლად ჩატარდა სამაგიდე და თვისებრივი კვლევა. თვისებრივ კვლევაში გამოყენებულ იქნა ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუ აღმზრდელ-პედაგოგებთან და მშობლებთან. ინტერვიუს დროს რესპოდენტებისთვის შესასწავლი საკითხის ირგვლივ დასმული იყო ღია კითხვები. კითხვარის შემუშავება მოხდა დამუშავებული მეორადი ინფორმაციის (საკანონმდებლო ბაზა, სახელმწიფოს მიერ აღმზრდელებისათვის შემუშავებული მეთოდური სახელმძღვანელოები და მითითებები, საკითხის შესახებ არსებული სტატიები, რომლებიც ხელმისაწვდომია აღმზრდელთათვის) საფუძველზე.

### რესპოდენტთა ჯგუფები

კვლევაში მონაწილეობა მიიღო ოცმა აღმზრდელ-პედაგოგმა, რომელნიც აღმზრდელობით საქმიანობას ახორციელებენ ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში მდებარე ათ საჯარო საბავშვო ბაგა-ბაღში. ასევე ასმა მშობელმა, რომელთაც ბავშვები დაჰყავთ აღნიშნულ საჯარო ბაღებში. ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუს საშუალებით გამოვკითხეთ აღმზრდელ-პედაგოგები და მშობლები. რესპოდენტთა შერჩევა მოხდა მიზანმიმართულად, საბავშვო ბაგა-ბაღი უნდა ყოფილიყო საჯარო.

## კვლევის შედეგები

კვლევის პირველ ეტაპზე, ვნახეთ ქ. თბილისის, დიდუბის რაიონში მდებარე ათი საბავშვო ბაგა-ბაღის აღმზრდელების მიერ შევსებული შეფასების ფორმები და მათ მიერ წარმოებული პორტფოლიოები. კვლევაში ჩართულ ყველა საბავშვო ბაგა-ბაღში ივსება შეფასების ფორმები ინდივიდუალურად, თითოეულ ბავშვზე და შევსებული ფორმები ინახება საბავშვო ბაგა-ბაღის თითოეულ ჯგუფში. ასევე, აღმზრდელ-პედაგოგები აღმზრდელების დახმარებით აწარმოებენ თითოეული აღსაზრდელის პორტფოლიოს, რომელშიც ინახავენ ბავშვების ნამუშევრებს ყოველგვარი კომენტარის გარეშე. მხოლოდ ოთხ ბაღში იყო ის შემთხვევა, რომ ნახატს ჰქონოდა მასწავლებლის კომენტარი. კომენტარი ძირითადად იყო ასეთი: „ყოჩაღ“, „კარგია“.

კვლევის მეორე ეტაპზე, განხორციელდა ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუ აღმზრდელ-პედაგოგებთან და მშობლებთან, რომელიც გავაანალიზეთ. ინტერვიუს ანალიზის წარმოდგენისას, ვფიქრობთ, უმჯობესი იქნება, თუ ერთი და იმავე შინაარსის ხედვებსა და მოსაზრებებს ერთიანი, შეჯერებული სახით გავწერთ, რაც გააადვილებს საერთო სურათის აღქმას.

## აღმზრდელ-პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუს ანალიზი:

### 1. დაასახელეთ/აღწერეთ რა ფორმით აფასებთ აღსაზრდელებს?

აღმზრდელ-პედაგოგების უმეტესობამ აღნიშნა, რომ ძირითადად იყენებენ შეფასების ფორმას, რომელიც დადგენილია სახელმწიფოს მიერ. იგი აფასებს აღსაზრდელის განვითარების ყველა ასპექტს: ფიზიკურს, სოციალურ-ემოციურს, შემეცნების, მეტყველების განვითარებას. ასევე, აწარმოებენ პორტფოლიოს, რომელშიც აგროვებენ თითოეული აღსაზრდელის ნამუშევრებს ინდივიდუალურად.

აღმზრდელ-პედაგოგების ნაწილმა აღნიშნა, რომ ორი თვის წინ გაიარეს ტრენინგი, რომელიც ეხებოდა აღსაზრდელთა შეფასების საკითხს. ტრენინგის გავლის შედეგად ააიპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტომ“ გასცა რეკომენდაცია, რომ მათ აღსაზრდელის შეფასებისას გამოიყენონ შეფასების არაფორმალური მეთოდი - ობიექტური დაკვირვება. აღმზრდელ-პედაგოგების განმარტებით ობიექტური დაკვირვება გულისხმობს შემდეგს: აღმზრდელ-პედაგოგი აკვირდება თითოეულ ბავშვს

და დაკვირვების შედეგად აკეთებს ჩანაწერებს. ობიექტური დაკვირვების შედეგად გაკეთებული ჩანაწერი აღწერს მხოლოდ ბავშვის ქცევის ფაქტს და არ ავალდებულებს აღმზრდელ-პედაგოგს დასკვნის გამოტანას იმის შესახებ, თუ რამ განაპირობა, ან გამოიწვია ესა თუ ის ქცევა.

წარმოგიდგინო ციტირებას ინტერვიუდან: „ბოლო ორი თვეა ვაკეთებთ ბავშვებზე ობიექტურ დაკვირვებას და დაკვირვების შედეგად ვაწარმოებთ ჩანაწერებს, სადაც უბრალოდ აღვწერთ ფაქტებს რას აკეთებს აღსაზრდელი. აი, მაგალითად, ასე: დილის წრის დამთავრებისთანავე, ბავშვებს შევთავაზე აერჩიათ ხატვა ან ძერწვა. ნიკამ აირჩია ძერწვა. მაგიდაზე წინ დაიდო იკაკოს პულტიანი მანქანა და დაიწყო ძერწვა. მაგრამ ცოტა გაუჭირდა. მაქსიმემ დაამშვიდა: შენ პულტი გამოძერწე და მე მანქანის გამოძერწვაში დაგეხმარებიო. ნიკა გახარებული შეუდგა ძერწვას.“

## 2. რა პრობლემებს აწყდებით აღსაზრდელთა შეფასების ფორმის გამოყენებისას?

აღმზრდელ-პედაგოგები აღნიშნავენ, რომ დღეს არსებულ შეფასების ფორმაში რამდენიმე პუნქტი მეორდება და ასევე, რამდენიმე პუნქტია, რომლის შემოწმების და შეფასების საშუალება მათ არ აქვთ. აქედან გამომდინარე, ამ პუნქტებზე პასუხის გაცემისას მთლიანად ეყრდნობიან მშობლების მიერ მიწოდებულ ინფორმაციას. მაგალითად, შეფასების ფორმაში ერთ-ერთი პუნქტია შეუძლია თუ არა ბავშვს ველოსიპედის ტარება. იქიდან გამომდინარე, რომ საბავშვო ბაგა-ბაღში არ არის ველოსიპედი აღმზრდელ-პედაგოგებს არ აქვთ საშუალება უშუალოდ ნახონ ის ფაქტი შეუძლია თუ არა ბავშვს ველოსიპედის ტარება.

რესპონდენტთა ნაწილმა ძირითად პრობლემად აღსაზრდელის შეფასების ფორმის გამოყენებისას დაასახელა ბავშვთა დიდი რაოდენობა ჯგუფში. „ძალიან ბევრი ბავშვია და შეფასების ფორმის გამოყენება ხშირად რთულდება, რადგან ის მოითხოვს დიდ დროს.“

რესპონდენტთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ შეფასების ფორმის შევსებისას პრობლემებს არ აწყდებიან, რადგან სახელმწიფოს მიერ შემოთავაზებული შეფასების

ფორმა არის კარგად სტრუქტურირებული და საშუალებას აძლევს აღმზრდელ-პედაგოგს შეაფასოს აღსაზრდელი განვითარების ყველა ასპექტით.

*„შეფასების ფორმის შევსებისას არ ვაწყდები არანაირ პრობლემას. ის კარგად სტრუქტურირებული დოკუმენტია და მისი შევსების შემდეგ კარგად შემიძლია დავინახო რა იცოდა ბავშვმა და რა ისწავლა წლის განმავლობაში“*

**3. სახელმწიფოს მიერ შემუშავებული შეფასების ფორმა უზრუნველყოფს „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტის“ მიერ განსაზღვრული განვითარების ყველა კომპონენტის შეფასებას?**

აღმზრდელ-პედაგოგები განმარტავენ, რომ დღეს არსებული შეფასების ფორმა ბავშვის განვითარების ძირითად მონახაზს აკეთებს, რადგან განვითარების ყველა ასპექტს/კომპონენტს მოიცავს, მაგრამ სიღრმეში ვერ ჩადის (თუმცა ვერ განმარტებს რას გულისხმობენ სიღრმეში ჩასვლაში).

აღმზრდელ-პედაგოგების უმეტესობა აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს მიერ შემოთავაზებული შეფასების ფორმა არის კარგად სტრუქტურირებული და წლის ბოლოს ნათლად ხედავენ რა წინსვლა აქვს ბავშვს განვითარებაში.

**4. გარდა სახელმწიფოს მიერ შემოთავაზებული აღსაზრდელის შეფასების ფორმისა დამატებით თუ იყენებთ სხვა შეფასების ფორმას?**

აღმზრდელ-პედაგოგთა უმრავლესობა არ იყენებს სხვა, დამატებით შეფასების ფორმას, გარდა სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული შეფასების ფორმისა.

მხოლოდ ერთი საბავშვო ბაღის აღმზრდელ-პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ისინი დამატებით შეფასების ფორმას იყენებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფში დაინახავენ, რომ რომელიმე აღსაზრდელს აქვს რაიმე შეფერხება განვითარებაში, ან აქვს ქცევის დარღვევა. ამ შემთხვევაში ისინი აწარმოებენ დაკვირვების შედეგად გაკეთებული ჩანაწერების რვეულს, რომელშიც აღწერენ ბავშვის ქცევას და შემდეგ სპეციალურ პედაგოგთან და ფსიქოლოგთან ერთად განიხილავენ ჩანაწერებს.



*„ჯგუფში როდესაც ვხედავთ, რომ რომელიმე ბავშვს აქვს დარღვევა ვიწყებთ ბავშვზე დაკვირვებას. ჩანაწერებს ვაკეთებთ სპეციალურ ჩანაწერების რეულში, აღწერთ ბავშვის ქცევას და შემდეგ ამ ჩანაწერებს განვიხილავთ სპეციალურ პედაგოგთან და ფსიქოლოგთან ერთად.“*

ორ საბავშვი ბაგა-ბაღში აღმზრდელ-პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ რამე დამატებითი კონკრეტული შეფასების ფორმა არ აქვთ, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ბავშვს ახალისებენ სიტყვიერად: „ყოჩაღ“, „რა კარგად დახატე“, „რა კარგად გამოძერწე“. ასევე, წახალისებისა და ბავშვის მოტივაციის გაზრდის მიზნით ხელზე ახატებენ 10 ქულას ან რაიმე სტიკერს აწებებენ.

## **5. ბავშვის შეფასების პროცესში მშობლები იღებენ მონაწილეობას?**

სამი ბაღის აღმზრდელ-პედაგოგმა აღნიშნა, რომ მშობლები ჩართულები არიან შეფასების ფორმის შევსებაში.

*„კი, მშობლები თავიდან ჩართულები არიან შეფასების ფორმის შევსებაში. სწავლის დაწყებამდე ვაწყობთ მშობლებთან გაცნობით შეხვედრებს და სწორედ, ამ შეხვედრაზე, ვუხსნით შეფასების ფორმის შევსების წესს და მიზანს. სწავლის დაწყებიდან ორი თვის შემდეგ ვურიგებთ შეფასების ფორმებს, ვავსებინებთ მათ და შემდეგ ვადარებთ/ვამოწმებთ მშობლის შეფასებას ჩვენ მიერ განხორციელებულ ბავშვის შეფასებას ერთმანეთთან. ხშირად ხდება ისე, რომ ჩვენი და მშობლის შეფასება სრულად არ ემთხვევა ერთმანეთს. ამ შემთხვევაში ვაგრძელებთ დაკვირვებას ბავშვზე.“*

ბაღების უმრავლესობაში აღნიშნეს, რომ მშობლები არ არიან ჩართულები შეფასების ფორმის შევსებაში, რადგან მათ ის უფრო აინტერესებთ რა ჭამა იმ დღეს ბავშვმა და არა ის, თუ რა ისწავლა. *„არა, მშობლები არ იღებენ მონაწილეობას ბავშვის შეფასების ფორმის შევსებაში, რადგან მათი ინტერესების სფერო ნაკლებად არის ბავშვის განვითარების შესახებ ინფორმაციის მიიღება. მათ ძირითადად აინტერესებთ რა ჭამა ბავშვმა.“*

**6. კონკრეტულად რა ფორმით აწვდით ინფორმაციას აღსაზრდელის მშობელს ბავშვის განვითარების შესახებ?**

რესპონდენტების ნაწილმა აღნიშნა, რომ მშობლებს ინფორმაციას აწვდიან შეფასების ფორმის საშუალებით. ისინი მშობლებს ავსებინებენ შეფასების ფორმებს, რათა ჰქონდეთ ინფორმაცია კონკრეტული ასაკისთვის რა უნდა იცოდეს ბავშვმა, მაგრამ იმასაც უმარტავენ, რომ თუ რაიმე არ იცის ბავშვმა ეს პრობლემა არ არის, რადგან ყველა ბავშვს განვითარების ინდივიდუალური ციკლი აქვს.

ასევე, აღმზრდელ-პედაგოგები მშობლებს ინფორმაციას აწვდიან აღსაზრდელის ბაღში მოყვანისას ან წაყვანისას, სიტყვიერად, ინდივიდუალურად. როგორც თვითონ აღნიშნეს, ძირითადად, მშობლები ეკითხებიან და ისინი პასუხობენ, მაგრამ თუ რაიმე პრობლემა წარმოიშვა ბავშვის განვითარების შესახებ, ან რაიმე დააშავა ბავშვმა მაშინ თვითონ იჩენენ მშობელთან კომუნიკაციის ინიციატივას.

აღსაზრდელის განვითარების შესახებ ინფორმაციის მიწოდების ერთ-ერთ ფორმად აღმზრდელ-პედაგოგებმა დაასახელეს ზეიმები, რომლებიც იმართება სეზონურად, წელიწადში მინიმუმ ოთხჯერ.

მხოლოდ ერთ ბაღში, ერთმა აღმზრდელ-პედაგოგმა აღნიშნა: *„ყოველ პარასკევს მაქვს სასწავლო-სააღმზრდელი ოთახში გამოფენა თუ რა გააკეთეს აღსაზრდელებმა მთელი კვირის განმავლობაში და მშობლებს შეუძლიათ ნახონ აღნიშნული ნამუშევრები. რაიმე დამატებითი ინფორმაციის მიღების სურვილი თუ აქვთ პირადად მეკითხებიან.“*

აღმზრდელ პედაგოგთა ნაწილი იყენებს სატელეფონო საუბრებს მშობლებთან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რაიმე პრობლემა წარმოიშვა ბავშვის განვითარებასთან დაკავშირებით.

**7. რა სიხშირით აწვდით ბავშვის განვითარების შესახებ ინფორმაციას მშობელს?**

აღნიშნულ კითხვაზე აღმზრდელ-პედაგოგების მიერ გაცემული პასუხებიდან ირკვევა, რომ მშობლებს ბავშვის განვითარების შესახებ ინფორმაციას აწვდიან

ყოველდღიურად, აღსაზრდელის ბაღში მოყვანისას ან წყვანისას, როდესაც მშობელი გამოთქვამს ინიციატივას. ასევე, საბავშვო ბაგა-ბაღში წელიწადში მინიმუმ ორჯერ მართავენ მშობელთა კრებებს და სეზონურად მინიმუმ ოთხჯერ ატარებენ ზეიმებს.

#### **8. რა ნაბიჯების გადადგმას ისურვებდით სახელმწიფოს მხრიდან სკოლამდელ განათლებაში შეფასების ეფექტურად განხორციელებისათვის?**

ერთ საბავშვო ბაგა-ბაღში (აღნიშნულ საბავშვო ბაგა-ბაღში ჰყავთ ბევრი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების აღსაზრდელი) აღნიშნეს, რომ მნიშვნელოვანი იქნება თუ აღსაზრდელები საბავშვო ბაგა-ბაღში შესვლამდე შეფასდებიან და მშობლები წინასწარ ინფორმირებულები იქნებიან ბავშვის განვითარების თუ განვითარებაში პრობლემებისა და შეფერხებების შესახებ.

*„ბავშვი სანამ მოვა ბაღში უნდა მოხდეს ბავშვის შეფასება, რათა წინასწარ იყოს განსაზღვრული მისი განვითარების დონე. მშობლები უნდა იყვნენ უფრო იმფორმირებულები ბავშვის განვითარების ასპექტების შესახებ.“*

ერთ ბაღში აღნიშნეს, რომ შეფასების უფრო ეფექტურად განხორციელებისათვის საჭიროა, რომ სახელმწიფომ უზრუნველყოს საბავშვო ბაგა-ბაღების მეტი ინვენტარით აღჭურვა, რადგან ბავშვების შეფასება განხორციელდეს ყველა იმ კომპონენტის მიხედვით, რომელიც მოცემულია შეფასების ფორმაში. არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ამა თუ იმ კომპონენტის მიხედვით ვერ ვაფასებთ ბავშვს, რადგან არ არის საჭირო სათამაშო საბავშვო ბაგა-ბაღის კონკრეტულ ჯგუფში.

საბავშვო ბაგა-ბაღების აღმზრდელ-პედაგოგების უმრავლესობამ შეფასების ეფექტურად განხორციელებისათვის დაასახელეს ბავშვთა რაოდენობის შემცირება ჯგუფებში. მიუხედავად იმისა, რომ „საქართველოს კანონი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ განსაზღვრავს აღსაზრდელთა რაოდენობას ჯგუფებში მაინც არის ისეთი შემთხვევები, როდესაც ჯგუფში არის ბევრი ბავშვი.

*„შეფასება მოითხოვს დიდ დროს და როდესაც ჯგუფში გყავს ორმოცი ბავშვი ძნელია სრულფასოვნად დააკვირდე ყველა ბავშვს და გააკეთო ობიექტური შეფასება.“*


აღმზრდელ პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუდან ირკვევა, რომ ყველა აღმზრდელ-პედაგოგი იყენებს სახელმწიფოს მიერ შეთავაზებულ აღსაზრდელის შეფასების ფორმას, რომელსაც ავსებს წელიწადში ორჯერ და ასევე, აწარმოებენ ინდივიდუალურ პორტფოლიოებს. აღსაზრდელის შეფასების რაიმე დამატებით ფორმას იყენებენ იშვიათად, მხოლოდ იმ შემთხვევებში თუ შეამჩნიეს, რომ ბავშვს აქვს რაიმე ტიპის დარღვევა განვითარებაში. აღმზრდელთა განმარტებით, მშობლების უმეტესობა არ იღებს მონაწილეობას ბავშვის შეფასების ფორმის შევსებაში. შეფასების უფრო ეფექტურად განხორციელებისთვის აღმზრდელ-პედაგოგების უმრავლესობა მიზანშეწონილად მიიჩნევს ჯგუფებში ბავშვების შემცირებას.

### მშობლებთან ჩატარებული ინტერვიუს ანალიზი:

#### 1. რამდენი შვილი გყავთ?

გამოკითხულთა შორის შვილების რაოდენობა მერყეობს ერთიდან ხუთამდე (იხილეთ დიაგრამა №1).

დიაგრამა №1



## 2. რა ფორმით აფასებს აღმზრდელ-პედაგოგი თქვენს შვილს?

მშობელთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ მათ არ აქვთ ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა ფორმით აფასებენ აღმზრდელ-პედაგოგები მათ შვილებს სკოლამდელი განათლების საფეხურზე.

უმცირესობაში იყვნენ ის მშობლები, რომელთაც იცოდნენ აღსაზრდელთა შეფასების ფორმის შესახებ: *„შეფასების რაღაც ფორმაა, რომელსაც გვაგვსებინებენ წლის დასაწყისში.“*

იყვნებ ისეთი მშობლებიც, რომლებმაც აღნიშნეს, რომ მათ შვილს აფასებენ სტიკერებით ან 10 ქულით, როცა ბავშვი კარგად შეასრულებს დავალებას, ან კარგად მოიქცევა.

რამდენიმე მშობელმა ვერ გაიგო კითხვის შინაარსი, რადგან არ ჰქონდათ ინფორმაცია ბაღში არსებული შეფასების ფორმების შესახებ და ამ კითხვაზე გვიპასუხა, რომ მისი შვილი სრულიად ჯანმრთელია და შეფასება არ სჭირდება. აღნიშნული პასუხი გამოიწვია მშობლების უცოდინარობამ. მათ ბავშვის შეფასება გააიგივეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა შეფასებასთან.

## 3. მიგილიათ მონაწილეობა თქვენი შვილის შეფასებაში?

გამოკითხულ მშობელთა უმრავლესობას არ მიუღია მონაწილეობა თავისი შვილის შეფასებაში, რადგან არავის მიუწოდებია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საჭირო იყო მისი მონაწილეობა ბავშვის შეფასების პროცესში.

მშობელთა უმცირესობა აღნიშნავს, რომ სასწავლო წლის დაწყებიდან რამდენიმე თვეში აღმზრდელ-პედაგოგები ურიგებენ შეფასების ფორმებს, რომლებსაც ავსებენ და უკან უბრუნებენ აღმზრდელ-პედაგოგებს.

#### **4. როგორ, რა ფორმით იგებთ თქვენი შვილის მიღწევების შესახებ?**

ამ კითხვაზე გამოიკვეთა ინფორმაციის მიწოდების სამი ძირითადი ფორმა: მასწავლებელთან პირადი საუბრები, მშობელთა კრებები და ზეიმები.

აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ არავის უხსენებია აღმზრდელ-პედაგოგის მიერ პარასკევს დღეს გაკეთებული გამოფენები.

#### **5. რა სიხშირით იღებთ აღნიშნულ ინფორმაციას?**

კვლევაში მონაწილე მშობლები აღნიშნავენ, რომ ბავშვის განვითარების შესახებ ინფორმაციას იღებენ დაახლოებით კვირაში ერთხელ, ან ორჯერ, ბავშვის ბაღში მიყვანის ან წამოყვანის დროს, როცა თვითონ გამოთქვამენ ინიციატივას ბავშვის შესახებ ინფორმაციის მიღებაზე.

#### **6. ბავშვის შესახებ ინფორმაციის მიღების ინიციატორი თქვენ ბრძანდებით თუ აღმზრდელი?**

მშობელთა უმრავლესობამ ამ კითხვაზე გვიპასუხა, რომ ძირითადად თვითონ გამოხატავენ ინიციატივას ბავშვის განვითარების შესახებ ინფორმაციის მიღებაზე. მასწავლებელი მშობლისთვის ინფორმაციის მიწოდების ინიციატივას იჩენს მხოლოდ მაშინ, როდესაც რაიმე პრობლემას აწყდება ბავშვთან მიმართებით.

#### **7. აღმზრდელს შეფასებისას ყურადღების მიღმა რჩება ბავშვის განვითარების რომელიმე კომპონენტი რომელიც თქვენთვის საინტერესოა?**

მშობლები აღნიშნავენ, რომ მასწავლებელი ყოველთვის პასუხობს ყველა იმ კითხვას, რომელიც მას აინტერესებს.

## 8. რა ნაბიჯების გადადგმას ისურვებდით სახელმწიფოს მხრიდან სკოლამდელ განათლებაში შეფასების ეფექტურად განხორციელებისათვის?

მშობლებთან ჩატარებული ინტერვიუებიდან შესაძლებელია გამოვყოთ რამდენიმე ძირითადი საკითხი:

მათი განმარტებით კარგი იქნება თუ შეიქმნება რაიმე ონლაინ პორტალი, საიდანაც შეეძლება ინფორმაციის მიღება ბავშვის შესახებ. რადგან ოცდაამერთე საუკუნეში ყველა მშობელი დაკავებულია და ხშირ შემთხვევაში არ აქვს დრო, რომ მივიდეს ბაღში და გაიგოს ინფორმაცია ბავშვის შესახებ.

როგორც მშობლები აღნიშნავენ უპირველეს ყოვლისა, საჭიროა, კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტდეს საბავშვო ბაგა-ბაღები: *„ძირითადად იმას ვუყურებ, ბავშვი ცალ-ცალი ფეხსაცმლით არ წამოვიდეს ბაღიდან, ან მარჯვენა ფეხზე მარცხენა ფეხის ფეხსაცმელი არ ეცვას (იყო რამდენჯერმე მსგავსი შემთხვევა). მას შემდეგ, რაც კვალიფიციური და სასურველია, ახალგაზრდა კადრები დასაქმდებიან ბაღებში, რომელთაც ნერვები და ენერგია ჰყოფნით იმისთვის, რომ აღსაზრდელებს გაუმკლავდნენ,“* „საჭიროა იყვნენ ისეთი კვალიფიციური კადრები, რომლებიც შეფასებად არ ჩათვლიან შემდეგ ფრაზებს: „კარგი გოგო“, „ცუდი გოგო“.

მშობლების განმარტებით, კარგი იქნება შემცირდეს ბავშვების რაოდენობა ჯგუფებში, რათა აღმზრდელ-პედაგოგს უფრო მეტი დრო ჰქონდეს თითოეული ბავშვისთვის.

მშობლებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად იკვეთება, რომ მშობელთა უმეტესობა არ არის ჩართული ბავშვის შეფასების პროცესში, უფრო მეტიც არც იციან რა ფორმით ხდება მათი შვილების შეფასება. ისინი აღნიშნავენ, რომ ბავშვის განვითარების შესახებ ინფორმაციას იღებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ისინი გამოხატავენ ინიციატივას. შეფასების უფრო ეფექტურად განხორციელებისათვის მშობლები მიიჩნევენ, რომ მნიშვნელოვანია აღმზრდელ-პედაგოგების კვალიფიკაციის ამაღლება და ასევე, კარგი იქნება, თუ შეიქმნება ელექტრონული პორტალი, რომლის საშუალებითაც ინტენსიურად მიიღებენ ინფორმაციას ბავშვის განვითარების შესახებ.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თითოეულ საბავშვო ბაგა-ბაღში აღმზრდელ-  
პედაგოგებისა და მშობლების პასუხები თანხვედრაში იყო ერთმანეთთან.



## დასკვნები

თეორიული კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები:

✓ ქართულ საკანონმდებლო სივრცეში აღსაზრდელის შეფასების საკითხი წარმოდგენილია ძირითადად ორ დოკუმენტში. ესენია: „აღზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი“ და „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტი“. აღნიშნულ დოკუმენტებში გაწერილია აღსაზრდელის შეფასების ფორმები და აღზრდელ-პედაგოგებისათვის განსაზღვრულია შეფასების შესახებ ცოდნის მინიმალური მოთხოვნები.

✓ სახელმწიფო ცდილობს შეფასების საკითხი სკოლამდელი განათლების საფეხურზე მოაქციოს სისტემაში. „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტსა“ და „სკოლამდელი განათლების პროგრამაზე“ დაყრდნობით 2011 წელს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა შეფასების ფორმა, რომელიც მოიცავს აღსაზრდელის განვითარების ყველა სფეროს და უზრუნველყოფს აღსაზრდელის განვითარების შესახებ ინფორმაციის მიღებას.

✓ საქართველოსაგან განსხვავებით რუსეთის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ბავშვის ინდივიდუალური განვითარების შეფასების ფორმის შევსების წესში მკაფიოდ არის გაწერილი აღზრდელის ვალდებულებები და პასუხისმგებლობები.

✓ საფრანგეთში და ამერიკის შეერთებულ შტატებში სახელმწიფოს მიერ არ არის დადგენილი რაიმე კონკრეტული შეფასების სქემა. მათ გამოყოფილი აქვთ შეფასების მეთოდები, რომლის არჩევამაც აღზრდელი არის სრულიად თავისუფალი და შესაძლებლობა აქვს ინდივიდუალურად, თითოეული ბავშვი შეაფასოს სხვადასხვა მეთოდის საშუალებით.

✓ ნაშრომში განხილული ყველა ქვეყანა დიდი მნიშვნელობას ანიჭებს მშობლის ჩართულობას აღსაზრდელის შეფასების პროცესში. სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით ამერიკის შეერთებულ შტატებში თვლიან, რომ მშობლის ჩართულობის გარდა შეფასების პროცესში დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს იმ გარემოებას თუ, როგორ აფასებს ბავშვი საკუთარ თავს და შესაძლებლობებს.

### **ემპირიული კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები:**

✓ როგორც კვლევამ გვიჩვენა, სწორედ ზემოთ აღნიშნულ შეფასების ფორმას იყენებს ყველა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება. ასევე, კვლევის პერიოდში გამოიკვეთა, რომ ბოლო ორი თვეა ააიპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს“ რეკომენდაციის მიხედვით აღმზრდელ-პედაგოგები იყენებენ შეფასების არაფორმალურ მეთოდს, ობიექტურ დაკვირვებას. მათივე განმარტებით, ობიექტური დაკვირვება გულისხმობს შემდეგს: აღმზრდელ-პედაგოგი აკვირდება თითოეულ ბავშვს და დაკვირვების შედეგად აკეთებს ჩანაწერებს. ობიექტური დაკვირვების შედეგად გაკეთებული ჩანაწერი აღწერს მხოლოდ ბავშვის ქცევის ფაქტს და არ ავალდებულებს აღმზრდელ-პედაგოგს დასკვნის გამოტანას იმის შესახებ, თუ რამ განაპირობა, ან გამოიწვია ესა თუ ის ქცევა.

✓ შეფასების ფორმის შევსების წესში მითითებულია, რომ მშობელთა მონაწილეობა შეფასების პროცესის აუცილებელი კომპონენტია. მიუხედავად ამისა, კვლევამ გვიჩვენა, რომ მშობლები არ არიან ჩართულები შეფასების ფორმის შევსების პროცესში და ხშირ შემთხვევაში არც კი იციან თუ როგორ და რა ფორმით ხდება მათი შვილების შეფასება.

✓ პრაქტიკული კვლევის დროს გამოიკვეთა ტენდენცია, რომ მშობლები შეფასების საჭიროებას განიხილავენ მხოლოდ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისთვის.

✓ მშობლები ბავშვის განვითარების შესახებ ინფორმაციას იღებენ ინდივიდუალურად, როდესაც მიჰყავთ ბაღში, ან ბაღიდან მოჰყავთ. ინფორმაციის მიღების ინიციატორები არიან მშობლები. აღმზრდელ-პედაგოგები ბავშვის შესახებ ინფორმაციის მიწოდების ინიციატორია მხოლოდ მაშინ, როდესაც განვითარებაში რაიმე შეფერხება აქვს ბავშვს ან რაიმე დააშავა.

✓ მშობლებთან ჩატარებული ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ მათი აზრით, სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში კვალიფიციური კადრების ნაკლებობაა.

✓ მიუხედავად იმისა, რომ „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ საქართველოს კანონის“ 22-ე მუხლით განსაზღვრულია აღსაზრდელთა რაოდენობა ჯგუფში, კვლევამ გვიჩვენა, რომ არის შემთხვევები, როდესაც ჯგუფში კანონით გათვალისწინებულ რაოდენობაზე მეტი აღსაზრდელია.

## რეკომენდაციები

ჩვენ მიერ ჩატარებული თეორიულ და პრაქტიკულ კვლევებზე დაყრდნობით სახელმწიფოს იმ სტრუქტურული ერთეულებისათვის, რომლებიც კურირებენ სკოლამდელ განათლებას, არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის, რომლებიც მუშაობენ სკოლამდელი განათლების საკითხებზე და უბრალოდ განათლების ამ საფეხურით დაინტერესებული პირებისთვის შეგვიძლია რეკომენდაციის სახით ჩამოვაყალიბოთ რამდენიმე პუნქტი:

✓ სასურველია შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ურთიერთშეთანხმებული მუშაობით შეიქმნას ახალი დოკუმენტი/სახელმძღვანელო, რომელშიც ნათლად იქნება გაწერილი და განმარტებული შეფასების ყველა ფორმა/მეთოდი, რომელიც აპრობირებულია სკოლამდელი განათლების საფეხურზე და აღმზრდელ-პედაგოგებს საშუალება ექნებათ თვითონ აირჩიონ შეფასების სასურველი ფორმა/მეთოდი.

✓ სასურველია, აღმზრდელ-პედაგოგებისათვის სახელმწიფოს შესაბამისმა უწყებამ შეიმუშავოს ტრენინგმოდულები აღსაზრდელის შეფასების საკითხთან დაკავშირებით და გაზარდოს ხელმისაწვდომობა მათზე.

✓ მნიშვნელოვანია გადაიხედოს დღეს არსებული შეფასების ფორმა და აღნიშნული ფორმიდან ამოღებულ იქნას შეფასების ის კომპონენტები, რომელთა შეფასებაც შეუძლებელია აღმზრდელ-პედაგოგის მიერ სკოლამდელი განათლების დაწესებულებაში.

✓ სახელმწიფომ უზრუნველყოს „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ საქართველოს კანონის“ 22-ე მუხლის სრულფასოვნად აღსრულება და შემცირდეს აღსაზრდელთა რაოდენობა ჯგუფებში, რაც ხელს შეუწყობს შეფასების უფრო ეფექტურად განხორციელებას.

✓ შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ურთიერთშეთანხმებული მუშაობით შეიქმნას რეგულაციები/გზამკვლევები მშობლებისთვის, რომელშიც განმარტებული იქნება მშობელთა ჩართულობის მიზანი, შედეგები და საჭიროება.

✓ სასურველია შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ურთიერთშეთანხმებული მუშაობით შექიმნას ონლაინ პორტალი, რომლის საშუალებითაც მშობლები მიიღებენ ინფორმაციას ბავშვის შესახებ.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. გ. თავზიშვილი სახალხო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების თეორია საქართველოში, თბილისი, 1948;
2. დ. ლორთქიფანიძე, დიდაქტიკა, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1983, გვ. 294;
3. ი. ბასილაძე, ი. ბალანჩივაძე, მ. ბერუჩაშვილი, ადრეული განათლების კურიკულუმები და მათი განვითარების სხვადასხვა ასპექტები, ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2018, გვ. 345;
4. მ. ფალავანდიშვილი, საბავშვო ბაღის აღმზრდელის ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური მომზადება, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1991, გვ. 80
5. ქ. ჭკუასელი, ივ. ჭკუასელი, პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები, გამომცემლობა ინტელექტი, თბილისი, 2012, გვ.255;
6. სკოლამდელი პედაგოგიკა და ფსიქოლოგია, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1981, გვ. 51;
7. სახელმძღვანელო საბავშვო ბაღის აღმზრდელთათვის, თბილისი, სახლგამი,1948, გვ. 240;
8. სკოლამდელი პედაგოგიკა, თბილისი, გამომცემლობა „განათლება“, 1987, გვ. 513;
9. სახელმძღვანელო საბავშვო ბაღის აღმზრდელთათვის, თბილისი, პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამომცემლობა, 1956, გვ. 201;
10. ქართული პედაგოგიკის ისტორია, საქართველოს სსრკ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულია დამხმარე სახელმძღვანელოდ პედაგოგიური ინსტიტუტებისათვის, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1974, გვ. 287 ;
11. „ძირითადი სახელმძღვანელო საბავშვო ბაღის აღმზრდელთათვის და საბავშვო ბაღის წესდება“ , საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის სკოლამდელი აღზრდის სამმართველო, თბილისი, 1938, გვ. 242;
12. „საქართველოს კონსტიტუცია“, 1995;
13. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, 2014;

14. „საქართველოს კანონი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“, 2016;
15. „ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტისა“, 2011;
16. „აღზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი“, 2017;
17. „სკოლამდელი ასაკის ბავშვთა შეფასების ფორმა“, 2011;
18. „განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია“ 2017-2021;
19. „საქართველოში სკოლამდელი განათლების ხარისხის კვლევა“, 2018;
20. Marcy Guddemi, Ph.D., Betsy J. Case, Ph. D. Assessing Young Children, 2004;
21. Julie Rutland, Anna H. Hall, Involving Families in the Assessment Process, 2013, გვ17;
22. A Guide to Assessment in Early Childhood, 2008, გვ.204;
23. <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0dictiona--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL1.1&d=HASH01d01f430d28bf11af559d52.4.8&gt=2> (01.03.2019)
24. <https://www.mes.gov.ge/content.php?id=4908&lang=geo> (20.02.2019);
25. [http://images.pearsonassessments.com/images/tmrs/tmrs\\_rg/AssessingYoungChildren.pdf](http://images.pearsonassessments.com/images/tmrs/tmrs_rg/AssessingYoungChildren.pdf) (28.02.2019);
26. <http://www.rtinetwork.org/essential/family/engagingfamilies> (25.02.2019);
27. <https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/09575146.2014.894498> (20.02.2019);
28. <https://www.scholastic.com/teachers/articles/teaching-content/formal-vs-informal-assessments/> (25.02.2019);
29. <https://www.usd232.org/site/default.aspx?PageType=3&ModuleInstanceID=10065&ViewID=9fc4dc78-f943-4224-8465-6c780e58f4df&RenderLoc=0&FlexDataID=10939&PageID=99> (20.02.2019);
30. <http://resourcesforearlylearning.org/fm/early-childhood-assessment/> (05.04.2019);
31. [https://www.southernearlychildhood.org/upload/pdf/Assessing\\_Development.pdf](https://www.southernearlychildhood.org/upload/pdf/Assessing_Development.pdf) (02.03.2019);
32. [https://tigerprints.clemson.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1024&context=eugene\\_pubs](https://tigerprints.clemson.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1024&context=eugene_pubs) (01.03.2019);

33. [http://resourcesforearlylearning.org/fm/early-childhood-assessment/?fbclid=IwAR1Ypt1R3iCRtp3giB9q7uF7os27e4wiV4o3GqyXjBZYt0USIYPNd\\_z5-10](http://resourcesforearlylearning.org/fm/early-childhood-assessment/?fbclid=IwAR1Ypt1R3iCRtp3giB9q7uF7os27e4wiV4o3GqyXjBZYt0USIYPNd_z5-10) (05.04.2019);
34. [http://www.consultant.ru/cons/cgi/online.cgi?req=doc&base=LAW&n=319668&fld=134&ds\\_t=1000000001.0&rnd=0.8842435829124844#009918041635050878](http://www.consultant.ru/cons/cgi/online.cgi?req=doc&base=LAW&n=319668&fld=134&ds_t=1000000001.0&rnd=0.8842435829124844#009918041635050878) (21.03.2019);
35. <https://edunews.ru/education-abroad/sistema-obrazovaniya/doshkolnoe.html> (24.03.2019);
36. <https://businessman.ru/doshkolnoe-obrazovanie-v-rossii-sistema-federalnyiy-standart-uchrejdeniya.html> (24.03.2019);
37. <https://pravobraz.ru/federalnyj-gosudarstvennyj-obrazovatelnyj-standart-doshkolnogo-obrazovaniya/> (26.03.2019);
38. <https://nsportal.ru/detskii-sad/vospitatelnaya-rabota/2017/05/21/sistema-otsenki-individualnogo-razvitiya-detey-v> (14.03.2019);
39. [https://xn--i1abbnckbmcl9fb.xn\\_p1ai/%D1%81%D1%82%D0%B0%D1%82%D1%8C%D0%B8/598677/](https://xn--i1abbnckbmcl9fb.xn_p1ai/%D1%81%D1%82%D0%B0%D1%82%D1%8C%D0%B8/598677/) (15.03.2019);
40. [https://iss.umn.edu/publications/USEducation/2.pdf?fbclid=IwAR0qSasJhCx711-NA3kTO0knhkzh\\_60XM-moo77iHi3j9t5pzePNOV61I8k](https://iss.umn.edu/publications/USEducation/2.pdf?fbclid=IwAR0qSasJhCx711-NA3kTO0knhkzh_60XM-moo77iHi3j9t5pzePNOV61I8k) (04.04.2019);
41. <https://www.mass.gov/doc/early-childhood-assessment-presentation-for-administrators> (01.04.2019);
42. <https://www.verywellfamily.com/preschool-assessment-2764976> (01.04.2019);
43. [http://resourcesforearlylearning.org/fm/early-childhood-assessment/?fbclid=IwAR1Ypt1R3iCRtp3giB9q7uF7os27e4wiV4o3GqyXjBZYt0USIYPNd\\_z5-10](http://resourcesforearlylearning.org/fm/early-childhood-assessment/?fbclid=IwAR1Ypt1R3iCRtp3giB9q7uF7os27e4wiV4o3GqyXjBZYt0USIYPNd_z5-10) (05.04.2019);
44. [https://files.eric.ed.gov/fulltext/ED569203.pdf?fbclid=IwAR1L7jY1j-IxH6DI4RES9cLWt2FVLpICNd6jNXgb\\_Q7bkJSNfALyF3hwmSQ](https://files.eric.ed.gov/fulltext/ED569203.pdf?fbclid=IwAR1L7jY1j-IxH6DI4RES9cLWt2FVLpICNd6jNXgb_Q7bkJSNfALyF3hwmSQ) (08.04.2019);
45. <http://www.readingrockets.org/article/building-parent-teacher-relationships> (06.04.2019);
46. <http://www.shankerinstitute.org/blog/challenges-pre-k-assessment> (08.04.2019);
47. <https://www.nj.gov/education/ece/guide/standards.pdf> (01.04.2019);
48. [http://www.gov.pe.ca/photos/original/edu\\_fr\\_immersio.pdf?fbclid=IwAR1W69Ar32SxS6qy0NcCR\\_dBsegEY\\_w-T0yvaUEZkfNhOoKDFyszjdcPHWg](http://www.gov.pe.ca/photos/original/edu_fr_immersio.pdf?fbclid=IwAR1W69Ar32SxS6qy0NcCR_dBsegEY_w-T0yvaUEZkfNhOoKDFyszjdcPHWg) (29.03.2019);



49. <http://www.oecd.org/education/school/ECECMNFrance.pdf?fbclid=IwAR3Hy4OzrNQDwXf5M5IEHe1E9vfzn3sK3N6wBeW6hO-N8TvRgkxmxEUSuvS8> (30.03.2019);
50. [https://www.legifrance.gouv.fr/affichCode.do;jsessionid=12A6DE8E817483A4C8BF039925249B15.tplgfr44s\\_2?cidTexte=LEGITEXT000006071191&dateTexte=20190317&fbclid=IwAR15OatHMHnsbkjbCFh\\_UYzyQbf5TC3t\\_ep4OeiWndrFp9Gn3yGd3roW7sU](https://www.legifrance.gouv.fr/affichCode.do;jsessionid=12A6DE8E817483A4C8BF039925249B15.tplgfr44s_2?cidTexte=LEGITEXT000006071191&dateTexte=20190317&fbclid=IwAR15OatHMHnsbkjbCFh_UYzyQbf5TC3t_ep4OeiWndrFp9Gn3yGd3roW7sU) (17.03.2019)
51. [https://www.expatica.com/fr/living/family/preschool-options-in-france102785/?fbclid=IwAR11fxVTDMWVadEYEabKtDB0IsaBMXMNd7nUNmmy\\_2LRL4izHZWx9Xah-8](https://www.expatica.com/fr/living/family/preschool-options-in-france102785/?fbclid=IwAR11fxVTDMWVadEYEabKtDB0IsaBMXMNd7nUNmmy_2LRL4izHZWx9Xah-8) (18.03.2019)
52. <https://docplayer.ru/30699927-Ocenka-individualnogo-razvitiya-detey-doshkolnogo-vozrasta-v-ramkah-pedagogicheskoy-diagnostiki-fgos-do.html> (26.03.2019);
53. [http://preschooleducation.ge/admin/uploads/4,%20INSTRUMENT\[1\].pdf](http://preschooleducation.ge/admin/uploads/4,%20INSTRUMENT[1].pdf) (21.02.2019);
54. [https://lib.bsu.edu.ge/pdf/skolamdeli\\_ganaTlebis\\_programa\\_20052011.pdf](https://lib.bsu.edu.ge/pdf/skolamdeli_ganaTlebis_programa_20052011.pdf) (25.02.2019)

## დანართი №1

### კითხვარი აღზრდელთათვის

მოგესალმებით, მე გახლავართ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურის მე-2 კურსის სტუდენტი. სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ვატარებ კვლევას აღსაზრდელის შეფასების პრაქტიკის შესახებ სკოლამდელი განათლების საფეხურზე. სამაგისტრო ნაშრომის მიზანია სკოლამდელ განათლებაში აღსაზრდელთა შეფასების პრაქტიკის კვლევა.

კვლევაში თქვენი მონაწილეობა ნებაყოფლობითია. თუ დათანხმდებით მონაწილეობაზე, შეგიძლიათ თავი შეიკავოთ ზოგიერთ კითხვაზე პასუხის გაცემისგან. თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაცია კვლევის საბოლოო ანგარიშში განზოგადებული იქნება და არ მოხდება ცალკეული მშობლის აზრის იდენტიფიცირება. ამასთან ჩვენ ვხელმძღვანელობთ საქართველოს კანონით „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“. ამ კანონის მე-4 მუხლის თანახმად, მკაცრად დავიცავთ რესპოდენტთა კონფიდენციალურობის მოთხოვნებს.

გთხოვთ, დამიდასტუროთ თანხმობა მონაწილეობის მიღებაზე. გულახდილად უპასუხოთ ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს. ინტერვიუ გაგრძელდება რამდენიმე წუთის განმავლობაში და ჩაიწერება ჩამწერი აპარატურით.

წინასწარ გიხდით მადლობას კვლევაში მონაწილეობისთვის!

სქესი:

სახელი:

ასაკი:

1. დაასახელეთ/აღწერეთ რა ფორმით აფასებთ აღსაზრდელებს?
2. რა პრობლემებს აწყდებით აღსაზრდელთა შეფასების ფორმის გამოყენებისას?
3. სახელმწიფოს მიერ შემუშავებული შეფასების ფორმა უზრუნველყოფს „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტის“ მიერ განსაზღვრული განვითარების ყველა კომპონენტის შეფასებას?
4. დამატებით თუ იყენებთ სხვა შეფასების ფორმას?

5. ბავშვის შეფასების პროცესში მშობლები იღებენ მონაწილეობას?
6. კონკრეტულად როგორ აწვდით ინფორმაციას აღსაზრდელის მშობელს ბავშვის განვითარების შესახებ?
7. რა სიხშირით აწვდით ბავშვის განვითარების შესახებ ინფორმაციას მშობელს?
8. რა ნაბიჯების გადადგმას ისურვებდით სახელმწიფოს მხრიდან სკოლამდელ განათლებაში შეფასების ეფექტურად განხორციელებისათვის?

## დანართი №2

### კითხვარი მშობელთათვის

მოგესალმებით, მე გახლავართ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურის მე-2 კურსის სტუდენტი. სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ვატარებ კვლევას აღსაზრდელის შეფასების პრაქტიკის შესახებ სკოლამდელი განათლების საფეხურზე. სამაგისტრო ნაშრომის მიზანია სკოლამდელ განათლებაში აღსაზრდელთა შეფასების პრაქტიკის კვლევა.

კვლევაში თქვენი მონაწილეობა ნებაყოფლობითია. თუ დათანხმდებით მონაწილეობაზე, შეგიძლიათ თავი შეიკავოთ ზოგიერთ კითხვაზე პასუხის გაცემისგან. თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაცია კვლევის საბოლოო ანგარიშში განზოგადებული იქნება და არ მოხდება ცალკეული მშობლის აზრის იდენტიფიცირება. ამასთან ჩვენ ვხელმძღვანელობთ საქართველოს კანონით „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“. ამ კანონის მე-4 მუხლის თანახმად, მკაცრად დავიცავთ რესპოდენტთა კონფიდენციალურობის მოთხოვნებს.

გთხოვთ, დამიდასტუროთ თანხმობა მონაწილეობის მიღებაზე. გულახდილად უპასუხოთ ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს. ინტერვიუ გაგრძელდება რამდენიმე წუთის განმავლობაში.

წინასწარ გიხდით მადლობას კვლევაში მონაწილეობისთვის!

სქესი:

ასაკი:

1. რამდენი შვილი გყავთ?
2. რა ფორმით აფასებს აღმზრდელი თქვენს შვილს?
3. მიგიღიათ მონაწილეობა თქვენი შვილის შეფასებაში?
4. როგორ, რა ფორმით იღებთ თქვენი შვილის მიღწევების შესახებ?
5. რა სიხშირით იღებთ აღნიშნულ ინფორმაციას?
6. ბავშვის შესახებ ინფორმაციის მიღების ინიციატორი თქვენ ბრძანდებით თუ აღმზრდელი?

7. აღმზრდელს შეფასებისას ყურადღების მიღმა რჩება ბავშვს განვითარების რომელიმე კომპონენტი რომელიც თქვენთვის საინტერესოა?
8. რა ნაბიჯების გადადგმას ისურვებდით სახელმწიფოს მხრიდან სკოლამდელ განათლებაში შეფასების ეფექტურად განხორციელებისათვის?

Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Faculty of Psychology and Educational Sciences

Master's Programme "Educational Sciences"

Zhizhiashvili Ia

Child Assessment Practice Research During Preschool Education

The thesis is done for the purpose of obtaining academic degree of Master of  
Educational Sciences

Thesis Supervisor: Zakaria Kitiashvili – Dr. of Educational Sciences, Associate Professor  
at Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Tbilisi

2019